ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 2 აპრილი, 2021 | №55 (8584) | ფასი: 60 თეთრი

შალვა გოგოლაძეს, რომელმაც სევა შამოიანს ცეცხლი ნაუკიდა, 17 წელი მიესაჯა

ბაჩანა შეიგელიას იუსტიციის სამინისტრომ 12.800 ლარი უნდა გადაუხადოს

„გახარიას მაღალი რეიტინგი დიდი ტყუილია“

ლადო სადღობელაშვილი: „მალე თურნავა და ახვლედიანიც გადადგებიან“



„ღარიბაშვილს ფინანსთა მინისტრის პოსტი ოპოზიციისთვის უნდა შეეთავაზებინა“

სოსო ცინცაძე: „მაჭავარიანი სიტუაციას განერიდა, თურნავა კი არასდროს გადადგება“

ხატია დეკანოიძე: „გავრილოვის შემდეგ ჭკუა ვერ ისწავლეს“

ბენო ქაშაკაშვილი: „პოზნერი ასეთ ცუდ დახვედრას არ ელოდა, ცუდი რეაქცია ჰქონდა“

„ჩინური ვაქცინა უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე „ასტრაზენეკა“ და „ფაიზერი“

ამირან გამყრელიძე: „საქართველო ჩინური ვაქცინის მოლოდინშია“

კრემლმა ღარიბაშვილი შეაქო

„მან ჩვენსავით დაგმო ქართველი ნაციონალისტების ქმედება“



ახალგორელი აქტივისტი მეოთხე დღეა შიმშილობს



ISSN 1987-9385

2 შესაძლოა, ევროკავშირმა საქართველოს 60-მილიონიანი დახმარება შეუჩეროს

4 საქართველოში გეოპოლიტიკური დაძაბულობა მატულობს

5 ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას არაერთი კრიტიკული ხარვეზი იკვეთება

6 ჰანს კლუგე: „ევროპაში ვაქცინაციის ტემპი დაუშვებლად ნელია“

„გახარიას მაღალი რეიტინგი დიდი ტყუილია“

ლადო სადღობელაშვილი: „მალე თურნავა და ახვლედიანიც გადადგებიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, რა ხდება „ოცნების“ კულუარებში? ორი მინისტრი უკვე შეიცვალა, ფინანსთა და იუსტიციის და ცვლილებები კიდევ იქნებაო. რას იტყვით თქვენ?

– რადგან ახალი პრემიერია, მას უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი. დავიწყოთ გადამდგარი მაჭავარიანით, ყველამ იცის, რომ ფინანსთა მინისტრი იყო გახარიას და ჩხარტიშვილის გარემოცვიდან. ხაზს ვუსვამ, სადაც ვახსენებ მომავალში გახარიას, ყოველთვის ავტომატურად მოიაზრება ჩხარტიშვილი. ეს ორი პიროვნება უნდა გავაიგივოთ ერთმანეთთან. გახარია იყო ჩხარტიშვილის კადრი, შემდეგ თურნავა იქნებოდა, მაჭავარიანი თუ ახვლედიანი, ესენი ყველანი არიან ჩხარტიშვილის შტოს და, შესაბამისად, გახარიას შტოს გაგრძელება.

– იმის თქმა გინდათ, რომ ყველა ეს კადრი ჩანაცვლდება?

– დიახ. მაჭავარიანი უკვე წავიდა. ასევე წავლენ თურნავა, ახვლედიანი, ლორთქიფანიძეც წავიდა. მინისტრის ოთხი პორტფელი თავისუფლდება. თურნავას რაც შეეხება, საუბარია, რომ ჯერ ნამახვანჰესი უნდა მოაგვაროს და შემდეგ გაუშვებენ, რადგან ერთგვარი ვალდებულება არის მისი მხრიდან. ამ უახლოეს დღეებში ჩვენ უნდა ველოდეთ დიდი ალბათობით, მინიმუმ, ორი ახალი მინისტრის დანიშვნას და ასევე უახლოეს დღეებში ქალბატონი ახვლედიანის წასვლას.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში წინსვლა არანაირი არ გვაქვს. ქალბატონი ახვლედიანი წარუმატებელი მინისტრია. შესაძლოა, სიმპათიურად გამოიყურება, მაგრამ ეს არ კმარა შერიგებისთვის. უახლოეს მომავალში ქალბატონ ახვლედიანს და თურნავას დავემშვიდობებით.

ჩემთვის ერთგვარ კითხვის ნიშანს ბადებს ბატონი ზალკანიანის მინისტრობაც.

ძალოვანი მინისტრები დარჩებიან, დანარჩენებს ეტაპობრივად შეცვლიან. აი ეს არის უახლოესი დღეების პროგნოზი მინისტრთა კაბინეტთან დაკავშირებით.

– ბევრი ფიქრობს, რომ კახი კალაძე განერიდა სიტუაციას. ბევრი იმასაც ფიქრობს, შესაძლოა გახარიას გვერდითაც ვიხილოთო. რამდენად უშვებთ, რომ კალაძემ მართლა ხელსაყრელი დრო შეარჩია, რათა პროცესებს განრიდებოდა?

– გახარიას უნდა, რომ კალაძე მის გვერდით იყოს? გახარიას უნდა ისეთი ადამიანი გვერდით, რომელიც მხილებულია ფულის კეთებაში? მისი მერობის პირობებში უკანონოდ გაცემული სამშენებლო ნებართვები ყოველგვარ ზღვარს სცდება. ეს გადაწყვეტილებები მავნებელური იყო. მისმა კორუფციულმა გადაწყვეტილებებმა საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას.

როდესაც პოლიტიკოსი ახალი გუნდით მოდის, ცდილობს, ეს გუნდი იყოს უნაკლო, მას რატომ უნდა სჭირდებოდეს გუნდში კალაძე, რომელთან უამრავი კითხვაა. აპრილი, მაისი და ივნისი, ვიცით, როგორი უხვნალექიანია თბილისში. კაცმა არ იცის, ამას რა შეიძლება მოჰყვეს, რა მოუვა ვაშლიჯვრის ფერდობს, იცის ვინმემ?! წესით, გახარიას არ უნდა უნდოდეს ამ ტალახის მიკვრა. თუმცა არის მეორე საკითხიც...

– რომელი საკითხი?

– ისეთი ადამიანები უჭერენ მხარს გახარიას, რომლებიც თავის დროზე კალაძესთანაც ასოცირდებოდნენ. ბევრი მათგანი შევარდნაძის და სააკაშვილის დროინდელი დეპუტატია, რომლებიც მერე „ოცნებას“ მიეტმასნენ. ეს ადამიანები კალაძესთან ასოცირდებოდნენ და ახლა, უცებ, გახარიას პოზიციები დაიჭირეს. სწორედ ეს მიჩენს ეჭვს. ისინი ისე ახლოს არიან კალაძესთან და მის გარემოცვასთან, რომ არ არის გამორიცხული, რაღაცა გადანაცვლებები ვიხილოთ.

კალაძეზე კიდევ ერთს ვიტყვი, კალაძე კი არ დაიმალა, კალაძე გადამალეს და მოტეხეს ამ პროცესებს. მე კარგად მახსოვს ვერეს ხეობაში განვითარებული პროცესები. ყველა ხედავდა მაშინ კალაძეს რეზინის „ვალინკებში“ და მუხლამდე ტალახში. ახლა არის არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი ვაშლიჯვართან მიმართებაში და ჩვენ ვხედავთ, რომ კალაძის ნაცვლად მისი მოადგილეები ადიან იქ. ეს კითხვებს ბადებს. იქ უნდა იდგეს კალაძე და ბოდიშებს იხდიდეს, ის კი ახლა დაიმალა. გადამალეს კალაძე. ურჩიეს, გარიდებოდა ამ პროცესებს. სანამ მინიმალური საფრთხე მაინც არსებობს ამ კუთხით, კალაძე იქნება დამალული.

– რას იტყვით გახარიაზე? ბევრმა თქვა, რომ ის მესამე ძალა იქნება. რას იტყვით თქვენ?

– უკვე მითები დადის, რომ გახარიას მაღალი რეიტინგი აქვს, რომ ის უსწრებს სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც. ჩემთვის ეს ყველაფერი არის სასაცილო. ეს ადამიანი არის რუსეთიდან წამოსული. დაგვისვეს რუსეთის კადრი. ძირითადად ეკონომიკურ გუნდში სვამს რუსეთი თავის კადრებს. გახარია ჯერ ვიხილეთ ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე, მერე ეკონომიკის მინისტრი იყო, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, მოკლედ, ყველანაირი იერარქია გაიარა და მოვიდა პრემიერ-მინისტრად.

როგორ შეიძლება გახარიამ თქვას, მე „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში ვარო. რატომ უნდა იყოს „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში?! თვითონ შექმნა ასეთი „ქართული ოცნება“. ახლა არ მოსწონს კობახიძე? ახლა არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილი და ღარიბაშვილი?! სად იყო ერთი წლის წინ, ორი წლის წინ, სამი წლის წინ, ოთხი, ხუთი და ასე შემდეგ?! მაშინ რატომ არ იღებდა ამაზე ხმას? ეს არის თვალთმაქცი ადამიანი. მე მინდა ხაზი გაუსვა მის მისვლას ზვიად გამსახურდიას საფლავზე.

„200.000 ლაიქის მოგროვება ფეისბუქში მაქსიმუმ 700 დოლარი ჯდება“

– ზუგდიდშია გახარია და იქიდან იწყებს პოლიტიკურ აქტიურობასო.

– დიახ, ჯერ მისმა ჭორბიურომ გაავრცელა ხმები, პარტიას ქმნისო, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა და ბოლო წუთს გადაიფიქრა. სამაგიეროდ, მივიდა ზვიადის საფლავთან. იქ ფოტო გადაიღო, დადო ფეისბუქში და რეკლამაზე გაუშვა. ფული გადაიხადა, რომ ხალხს ენახა ეს ფოტო, წარმოგიდგენიათ, რა ხდება?!

ეს არის თვალთმაქცობის ნიმუში. თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს მატყუარა და მანიპულირებდეს ხალხით. ტიპი 7 წლის განმავლობაში მთავრობაში იყო და ერთხელ მაინც უნახავს ვინმეს ზვიადის საფლავზე მისული?!

– რა შანსები აქვს გახარიას?

– მე ბევრი მინახავს ასე ომახიანად შემოსული. იგივე ბურჭულაძე შემიძლია გითხრათ. თავის დროზე, როდესაც ბურჭულაძე გამოჩნდა, გაიძახოდნენ, ამაზე მეტი რეიტინგი ვის შეიძლება ჰქონდესო, თავის დროზე სააკაშვილს ეშინოდა მისიო. ჩვენ ვიხილეთ, რაც არის ბურჭულაძე და მისი მხარდაჭერა საქართველოში. ეს დამთავრდა ერთი სიუჟეტით, რომელიც მის იავნანას ფონდს ეხებოდა. ამით დაამთავრა ბატონმა ბურჭულაძემ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა. ვნახეთ, როგორი კუდამოძუებული გაცუნცულდა საქართველოდან.

მერე ლელო იყო. აი, რამდენი მხარდამჭერი გვყავსო, ფულიც გვაქვსო, გაიძახოდნენ. თუმცა ხალხი ბრძენია. გადაწყვეტილებებზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, ადამიანი ფიქრობს, ამან მყვლიფა, წამართვა ქონება და ამას როგორ შეიძლება ხმა მივცე, ეს რომ მთავრობაში მოვიდეს, ხომ საერთოდ გადამივლისო. ამიტომ მისი რეიტინგიც 4%-ში მოექცა.

რაზე დაყრდნობით ამბობენ ეს ადამიანები, რომ გახარიას აქვს მაღალი რეიტინგი, 200 ათასი ლაიქიდან გამომდინარე, რომელიც მის ფეისბუქფოტოზე ვიხილეთ?! 200 ათასი ლაიქის გაკეთება ფეისბუქში ჯდება 500-დან 700 დოლარამდე.

– ფულს იხდიან?

– აბა რას შვრებიან! ამ ტროლებზე, ბოტებზე და ასე შემდეგ უამრავი ფული იხარჯებოდა, სწორედ მისი პრემიერობის დროს. ძალიან ბევრი ფეიკია შექმნილი, ასი ათასობით, ფეისბუქში, რაც მე ვიცი, რომლებიც თავის დროზე ეხმარებოდნენ მის პრემიერობას, სოციალური ქსელიდან. ძალიან ბევრი ყალბი ექაუნთი იყო შექმნილი და ახლა უნდათ, რომ ფოტოს ლაიქებით განისაზღვროს გახარიას რეიტინგი?!

გახარიას განცხადებამ, რომ ის პოლიტიკაში რჩებოდა, პირველ ფოტოსთან შედარებით ლაიქების მეოთხედიც ვერ მოაგროვა.

ბოლოს გეკითხებით, ვინ შექმნა გახარია?!

– ვინ შექმნა?

– ვინ და ბიძინა ივანიშვილმა! თუ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია შექმნას ერთი გახარია, მას შეუძლია შექმნას მეორე და მესამეც. თუ ასეთი მაგარი იყო გახარია, სად იყო ივანიშვილამდე? გახარია იყო მოსკოვში და ჩხარტიშვილის ერთ-ერთ ბიზნესს კურირებდა. ეს ადამიანი ვერასდროს ვერ იქნება რეიტინგული ადამიანი საქართველოში.

– რამდენად უშვებთ, რომ შესაძლოა ის იყოს ბიძინას პროექტი?

– კი, მაგასაც ვუშვებ და დღემდე ვფიქრობ მაგ თემაზე. გახარიას გუნდში იკრიბებიან ის ადამიანები, ვინც ახალი პარტიის შესაქმნელად მოიაზრებოდნენ.

გახარიამ და ბიძინამ რომ იკამათეს და გახარიამ რომ უთხრა, შენ ღარიბაშვილში ხომ არ გეშლებიო, ესეც ვიცი. ზუსტად ვიცი, რომ ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილს არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება გახარიასთან.

გახარიას მომყვანი და დამწინაურებელი ბიძინა ივანიშვილია. კაცი დასვა პირველ პირად და ელემენტარულად მასზე არ გქონდეს კომპრომატი, მე წარმოუდგენლად მეჩვენება. ეს საბანაძის თემა და ნამახვანჰესი, რომელიც თურნავას გავლით პირდაპირ გახარიას ურტყამს, ჯერ არის ზღვაში წვეთი. ეს ჟურნალია და კინო აწი გველის.

მე, პირადად, გახარიას რეიტინგულობის და მისი მესამე ძალად მოსვლის არ მჯერა.

ხატია დეკანოიძე: „გავრილოვის შემდეგ ჭკუა ვერ ისწავლეს“

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილების იძულება ჩვენი პოლიტიკოსების და აქტივისტების მიერ – როგორც ჩანს, გავრილოვის შემდეგ ვერ ისწავლეს ჭკუა.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, რითაც რუსი ჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერისა და მისი სტუმრების საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა.

მისივე თქმით, არ შეიძლება იმ ადამიანების საქართველოს ტერიტორიაზე დაშვება, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს ინტერესების მორღვევას და არაღიარების პოლიტიკას.

– აქ არის სწორედ ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რომ ის ადამიანები, ვინც პროპაგანდას, პუტინის პროქსებს წარმოადგენენ, არ შეიძლება მათი საქართველოს ტერიტორიაზე დაშვება, რადგან ეს ხელს უწყობს ჩვენი ინტერესების მორღვევას და არ აღიარების პოლიტიკას. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს პოლიცია. მე მესმის, რომ პრობლემები ადრეც იყო, მაგრამ ახლა რაც ხდება, ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს – ოკუპანტის დაცვა, გავრილოვის დაცვა, თვალების დათხრა ადამიანებისთვის.

ამ ყველაფრით ჩვენ პუტინს და კრემლს ვუმდიდრებთ ნიადაგს, რომ აწარმოონ კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ჰიბრიდული ომი. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილების იძულება ჩვენი პოლიტიკოსების და აქტივისტების მიერ. გავრილოვის შემდეგ ვერ ისწავლეს ჭკუა, როგორც ჩანს, – განაცხადა დეკანოიძემ.

ბენო ქაშაკაშვილი: „პოზნერი ასეთი ცუდ დახვედრას არ ელოდა, ცუდი რეაქცია ჰქონდა“

– ვლადიმერ პოზნერისთვის მოულოდნელი იყო ასეთი დახვედრა, ცუდი რეაქცია ჰქონდა.

ამის შესახებ სასტუმრო „ვინოტელის“ მფლობელმა, ბიზნესმენმა ბენო ქაშაკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ვლადიმერ პოზნერი საქართველოს ხშირად სტუმრობს, თუმცა შარშან, პანდემიის გამო არ ჩამოსულა.

– ბოდიში, ძალიან მძიმე ღამე მქონდა, არც დილაა იოლი. სტუმრები წავიდნენ, აღარ არიან, აღარც ჩამოვლენ. მე კი ბოდიში – ალბათ გამიგებთ,... ჩემთვის მოულოდნელი და სამწუხარო იყო ეს ყველაფერი. ისინი ყოველ წელს ჩვეულებრივ დადიოდნენ აქ, სხვაგან და ა.შ.

რაც შეეხება კომენდანტის საათის დროს რესტორნის გახსნას, მათ ჩამოფრენა დააგვიანეს და ვეღარ შევცვალე გეგმა, დაგვსაჯეს კიდეც ამისთვის – 10-ათას ლარიანი ჯარიმით. შარშან პანდემია იყო და არ ჩამოსულან. შარშანწინ ამ დროს კი იყვნენ ჩამოსულები. ვლადიმერ პოზნერისთვის მოულოდნელი იყო ასეთი დახვედრა, ცუდი რეაქცია ჰქონდა, – განაცხადა ქაშაკაშვილმა.

კითხვაზე, რატომ არ თქვა ბიზნესმენმა უარი კანონდარღვევაზე, რითაც თავიდან აიცილებდა ჯარიმასაც და ხალხის რისხვასაც, ბიზნესმენი აცხადებს, რომ მათ მოსვლა დააგვიანეს.

– დააგვიანეს მოსვლა, უარს ვერ ვეტყოდი, ყველა ყოველთვის აგვიანებს და კანონი არა შეგნებულად დაირღვა, თანაც – პირველად. ასეთ დიდ ჯარიმას არ ვიმსახურებდით, მგონია, არც – რისხვას, გამომდინარე მათი ადრინდელი ვიზიტებიდან ჩვენთან, თუ სხვა სასტუმროში, – აღნიშნა ქაშაკაშვილმა.

შესაძლოა, ევროკავშირმა საქართველოს 60-მილიონიანი დახმარება შეუჩეროს

„რადიო თავისუფლების“ ბრიუსელის ბიუროს ჟურნალისტის, რიკარდ იოზვიაკის ინფორმაციით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადი წარმომადგენელი კრისტიან დანიელსონი ევროპარლამენტარებს შეხვდა და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა.

იოზვიაკი წერს, რომ იკვეთება და ჩანს, რომ შესაძლოა, ევროკავშირმა მხარი დაუჭიროს მიკროფინანსური დახმარების შეჩერებას საქართველოს მიმართ. საუბარია 60 მილიონ ევროზე, რომელიც საქართველომ, წესით, ოქტომბერში უნდა მიიღოს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ღარიბაშვილს ფინანსთა მინისტრის პოსტი ოპოზიციისთვის უნდა შეეთავაზებინა“

სოსო ცინცაძე: „მაჭავარიანი სიტუაციას განერიდა, თურნავა კი არასდროს გადადგება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ფინანსთა მინისტრის, ვანო მაჭავარიანის გადადგომას თქვენ რას უკავშირებთ? ოპოზიცია ამბობს, პოლიტიკური კი არა სახელისუფლო კრიზისია ქვეყანაში.

– ძალიან სიმბოლურია ფინანსთა მინისტრის წასვლა ლარის კურსის გათვალისწინებით. მთელ მსოფლიოში ფინანსთა მინისტრი პირდაპირ ეროვნულ ვალუტასთან არის მიბმული. შეუძლებელია, ეროვნული ვალუტა ამ დღეში იყოს და ფინანსთა მინისტრი ან დაწინაურდეს, ან, უბრალოდ, კარგ ხასიათზე იყოს. ეროვნული ვალუტა ქვეყნის ცხოვრების არტერიაა. მის სიმტკიცეზეა დამოკიდებული სახელმწიფოს სიჯანსაღე.

ღარიბაშვილმა მაჭავარიანის შემცვლელად მისი მოადგილე დაასახელა. პრემიერის მხრიდან ბევრად უფრო ჭკვიანური სვლა იქნებოდა თუ ამ ადგილს ოპოზიციას შესთავაზებდა, მაგალითად, რომან გოცირიძეს ან ლადო პაპავას. დარწმუნებული ვარ, არც ერთი არ დათანხმდებოდა, მაგრამ ღარიბაშვილის მხრიდან ეს პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა. მას ექნებოდა სათქმელი არა მხოლოდ ოპოზიციისთვის, ჩვენი დასავლელი მომლაპარაკებლებისთვისაც. თავის დროზე შევარდნაძემ ეს გააკეთა. იუსტიციის მინისტრობა ჯერ გია ბარამიძეს შესთავაზა, ის რომ არ დათანხმდა, საააკაშვილს.

> **„საქართველოში დღეს ბარიკადებზე ამსვლელი ხალხი აღარ არის. ჩვენთან ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ არავინ გამოდის?!“**

როგორც ირკვევა, ახალი მინისტრი 7 წელია მოადგილეა. ეს ნიშნავს, რომ საერთოდ უპრინციპოა ან მაღალი დონის პროფესიონალი, მაგრამ მინისტრის პოზიციას იზიარებს. ამ გადმოსახედიდან ძალიან მეეჭვება, რომ ახალმა მინისტრმა ხუციშვილმა რამე შეძლოს. წარმატებული იყოს.

ლარის ასეთი გაუბედურება პირდაპირ ქვეყნის ცხოვრების დონეზეა მიბმული, ადამიანების ყოველდღიურობაზე. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ შიგნით დაპირისპირებულები და უკმაყოფილოები ყოფილიყვნენ. არ გამოვრიცხავ, მაჭავარიანს სთხოვდნენ, რაღაც ეღონა, რაღაც გამოესწორებინა, მაგრამ მაჭავარიანი ღმერთი კი არ არის. მმართველი პარტია არაფერზე პასუხს არ აგებს, მაგრამ განტევების ვაცებს ეძებს. არ გამოვრიცხავ, ასეთი განტევების ვაცი აღმოჩნდა ვანო მაჭავარიანი ამ ეტაპზე. ეს იყო მხოლოდ ორთქლის გამოშვება. პრობლემის რეალური მოგვარებისთვის კი სულ სხვა ნაბიჯებია საჭირო. თავის დროზე ისრაელში, როდესაც ინფლაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ამერიკიდან ფინანსისტები მიიწვიეს, რომლებმაც ექვს თვეში ამოქაჩეს ეროვნული ვალუტა. მაგრამ ასეთი ნაბიჯების ნაცვლად მოადგილე დაინიშნა, რომელიც 7 წელია სამინისტროშია, კარგად იცნობს სამინისტროს.

– ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები უბრალო დამთხვევაა თუ მართლაც რაღაც ხდება?

– არა, შემთხვევითი ნამდვილად არ არის. ყველა ჯოხის გადატეხა ფინანსთა მინისტრზე, ნამდვილად არ გამოვა. ამიტომაც, არ გამოვრიცხავ, რომ მაჭავარიანი პროცესებს განერიდა, მაგრამ სიტუაცია არც ისე მარტივად გამოიყურება. მაჭავარიანი გადადგა, თავის დროზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ქებურიაც წავიდა, მაგრამ თურნავა არასოდეს არ გადადგება. ეს გამორიცხულია.

რასაკვირველია, თუ უფრო ფართოდ შევხედავთ სურათს, ეს ყველაფერი კრიზისის ნიშანია. ვიღაცები რაღაცას გრძნობენ და ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ გემს ტოვებდნენ. ფინანსთა მინისტრის გადადგომა ცოტა არ არის.

– ამ ვითარებაში ოპოზიციას რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს?

– მხოლოდ ხალხის, რომელსაც პროტესტის განცდა აქვს, მაგრამ კობახიძე როდესაც ამბობს, 15 მაისიც მოვა და ვნახავთ, მან იცის, რომ ადამიანებში პროტესტის განცდა არ არის ან არის, მაგრამ ყველა თავისი პრობლემის მოგვარებით არის დაკავებული. ამიტომ, ერთ რამეში ხელისუფლება ნამდვილად არ ტყუვდება. საქართველოში დღეს ბარიკადებზე ამსვლელი ხალხი აღარ არის. სომხეთში ნახევარი თეთრით გაზი გაძვირდა და მთელი ერევანი ქუჩაში გამოვიდა. ჩვენთან ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ ვინმე გამოდის?! ოპოზიციაც არ უტყდება თავს, რომ სადღაც შეცდომა დაუშვა. რაც უფრო დროულად აღიარებენ ამ შეცდომას, მით უფრო მეტი შანსია, რომ გამოსწორება მოასწრონ. ამ მონაცემებით, ოპოზიციამ „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებაში უკვე წააგო. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიაზე არჩევნებში 20% მეტი მიიღო, სადღაც მაინც დაუშვა კატასტროფული შეცდომა.

ცხადია, ამ პირობებში ხელისუფლებაც უშვებს შეცდომებს. კიდევ ერთი ბეწვის ხიდი გაიარა. პოზნერის ჩამოსვლას ვგულისხმობ, რომელსაც 50 წელია ვიცნობ. ბევრად უკეთესი იქნებოდა, ეს ახალგაზრდები პოზნერს დალაპარაკებოდნენ, დებატები გაემართათ მასთან. ბევრად უფრო მოიგებდა ქვეყანა, თუ პოზნერი მოსკოვში იმ შეგნებით ჩავიდოდა, რომ რუსი საზოგადოებისთვის ეთქვა – საქართველო აფხაზეთის დაკარგვას აღარასოდეს შეეგუება. იმ შეგონებამდე უნდა მისულიყო, რომ ეთქვა: რატომ ვთქვი, რაც ვთქვი აფხაზეთთან დაკავშირებითო. ამ შეგონებით უნდა დაბრუნებულიყო მოსკოვში.

ღარიბაშვილი: „პოზნერის წინააღმდეგ პროტესტი სრულიად მიუღებელი იყო“

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პროტესტის ის ფორმა, რაც 31 მარტს სამოქალაქო აქტივისტებმა რუსი პროპაგანდისტის, ვლადიმერ პოზნერის და მისი სტუმრების დასახვედრად გამოიყენეს, ყოვლად დაუშვებელი იყო.

მისივე შეფასებით, პროტესტის ეს ფორმა აშკარად ცდება ცივილიზებულ ნორმებს და ქართულ სტანდარტებს.

– რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელი იყო ნაცმოძრაობის ლიდერების და მათი ჯგუფების პროტესტის ეს ფორმა, რაც აშკარად ცდება ცივილიზებულ ნორმებს და ქართულ სტანდარტებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნაცმოძრაობა ჩამოყალიბდა აბსოლუტურად დეგრადირებულ და რადიკალურ ჯგუფად, რომელთანაც ცივილიზებული დიალოგი, უბრალოდ, შეუძლებელია, – თქვა ღარიბაშვილმა.

კრემლმა ღარიბაშვილი შეაქო

„მან ჩვენსავით დაგმო ქართველი ნაციონალისტების ქმედება“

– რუსებმა ცხადად უნდა გაიგონ, რომ საქართველოში მოგზაურობა მათთვის უსაფრთხო არ არის.

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

– საქართველოში წასვლა უბრალოდ საშიშია. რუსებმა ეს კარგად უნდა გაიგონ – აღნიშნა პესკოვმა.

მისი თქმით, კრემლი მკაცრად გმობს საქართველოს დედაქალაქში „ექსტრემისტი ნაციონალების მიერ რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებს“.

პესკოვმა ასევე აღნიშნა, რომ კრემლი მიესალმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომელმაც დაგმო ნაციონალისტების ქმედებები.

– ჩვენ ვნახეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღევანდელი განცხადება, რომელმაც ასევე დაგმო ეს ქმედებები და ჩვენ მივესალმებით ამ განცხადებას, – განაცხადა პესკოვმა.

მაჭავარიანის, ბროწეულის, გელოვანის ქუჩები

რა შეიძლება დააზიანოს ვაშლიჯვრის მეწყერმა

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტმა და სეისმური მონიტორინგის ეროვნულმა ცენტრმა მაჭავარიანის ქუჩის მეწყერის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.

ანგარიშში აღწერილია სავარაუდო სცენარი, თუკი მეწყერი დაიძვრება.

დასახელებულია ქუჩებიც, რომლებიც სტიქიის რისკის ქვეშაა.

„ამჟამინდელი მონაცემებით, ფერდობიდან ნაპრალით გამოყოფილი ბლოკის სხვადასხვა უბანი ფერდობიდან სხვადასხვა სიჩქარით და მიმართულებით გადაადგილდება. კერძოდ, გეოდეზიური და აეროფოტოგრამმეტრიული მონაცემებით, გადაადგილების სიჩქარე მერყეობს 2.6-დან 5.5 სმ-მდე. მიმდინარეობს ინტენსიური მონიტორინგი მიღებული შედეგების დასაზუსტებლად.

მეწყრის უცაბედი დაძვრის ძირითად მაპროვოცირებელ აგენტებად განიხილება ჭარბი ნალექი და მიწისძვრა, ასეთ შემთხვევაში, მეწყერი აზიანებს მაგისტრალური წყალსადენის სამ 900 მმ-იან და უფრო მეტი დიამეტრის მილსადენებს. რის გამოც მაღალი წნევით მომდინარე წყალი მილებიდან დაიღვრება დამეწყრულ უბანზე და მეწყრის ამგებ ლოდნარ მასას შეერევა, რაც მეწყრის დენას ფერდობის ქვედა მიმართულებით (გელოვანის ქუჩისკენ) გაამარტივებს და, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდება ღვარცოფული ნაკადი.

მეწყრულ-ღვარცოფული აქტივობა, სავარაუდოდ, მოიცავს: მაჭავარიანის ქუჩას, გელოვანის და მაჭავარიანის დამაკავშირებელ მშენებარე გზატკეცილს, ბროწეულის ქუჩას, გელოვანის ქუჩას. ასევე, ზედა მეწყრის დაცურება გამოიწვევს ქვედა მეწყრის შერევას და გაზრდის დაცურებული მასის მოცულობას, რომელიც გელოვანის ქუჩაზე მიღწევის შემთხვევაში, სავარაუდოდ, უფრო მძიმე შედეგებს გამოიწვევს.

მეწყრის მოცულობიდან გამომდინარე (მოწყვეტილი მასა), რომელიც თავისი მასშტაბით ვერეს 2015 წლის მოვლენების დროს დაძრული მასის ტოლფასია, აუცილებელია, შევაფასოთ სრული სცენარი, რომელიც ყველა შესაძლო გართულებას მოიცავს, რათა მოვახდინოთ პროცესის მართვა ისე, რომ არ დაზარალდეს მოსახლეობა“ – ნათქვამია დოკუმენტში.



ივა ჭყონია: „ლარი აპარატზეა მიერთებული, მაგრამ გაცოცხლების არავითარი იმედი არ არის“

– გაურკვევლობა გაცილებით უარესია ბიზნესისთვის, ვიდრე გარკვეულად ცუდი მომავალი, – ამის შესახებ ბიზნესდისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა „ბიზნესპრესნიუსთან“ ლარის კურსის მკვეთრი გაუფასურების შეფასებისას აღნიშნა.

მისი თქმით, ამ რეალობაში, შეუძლებელია ბიზნესის მოლოდინებზე საუბარი.

– ბიზნესი აბსოლუტურ გაურკვევლობაშია, რაც გაცილებით მეტი პრობლემაა, ვიდრე გარკვეულად ცუდი მომავალი. პირობითად ვამბობ, მირჩევნია ვიცოდე, რომ 4.0 იქნება და ვემზადო ამისთვის. ამ სიტუაციაში შეუძლებელია თქვა რამე, რომ აი, ამ შემთხვევაში გაძვირდება პროდუქცია, ამ შემთხვევაში ფასები შენარჩუნდება ან რამე, მსგავსიც კი.

ეროვნული ვალუტა, უბრალოდ, არ გვაქვს. ხელოვნურ აპარატზეა მიერთებული, აპარატიდან არ ვრთავთ და გულს ვამუშავებთ, მაგრამ გაცოცხლების არავითარი იმედი არ არის, – განაცხადა ივა ჭყონიამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ფინანსთა მინისტრად ლაშა ხუციშვილი დაინიშნა

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ლაშა ხუციშვილი დაინიშნა.

ახალი ფინანსთა მინისტრი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 1 აპრილის სხდომაზე წარადგინა. ლაშა ხუციშვილი ამ დრომდე ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

– მინდა წარმოგიდგინოთ ლაშა ხუციშვილი. ბატონი ლაშა დიდი ხანია ფინანსთა სამინისტროშია. ის ძალიან კარგად იცნობს სისტემას. კერძოდ, 2014 წლიდან მას ეკავა ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის ასოცირებული პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრი. 2013-2014 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური უფროსი. არის „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ბიზნესსკოლის, პრინსტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მე მინდა ბატონ ლაშას წარმატებები ვუსურვო ფინანსთა მინისტრის რანგში და მჯერა, წარმატებით გააგრძელებს თავის საქმიანობას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფინანსთა მინისტრის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც 31 მარტს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა თანამდებობა დატოვა.

შესაბამისი განცხადება მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. მაჭავარიანს თანამდებობის დატოვების მიზეზი არ დაუსახელებია, მაგრამ განმარტა, რომ პოსტიდან წასვლას ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გეგმავდა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ წინ იყო კრიზისული ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა, ასევე, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამის დასრულების თაობაზე, გადაწყვეტილება რამდენიმე თვით გადადო.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ჩინური ვაქცინა უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე „ასტრაზენეკა“ და „ფაიზერი“

ამირან გამყრელიძე: „საქართველო ჩინური ვაქცინის მოლოდინშია“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გამართულ ონლაინ პრესკონფერენციაზე ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ საქართველო ჩინური ვაქცინის მოლოდინშია.

სახელმწიფოს „სინოფარმის“ ერთი ვაქცინა 18-20 დოლარის ფარგლებში უჯდება.

– ვაქცინების ფასები სხვადასხვა ქვეყნებისთვის სხვადასხვაა. ჩვენ „ასტრაზენეკა“ „კოვაქსის“ საშუალებით ვიყიდეთ თუ არ ვცდები, 4-5 დოლარის ფარგლებში, „ფაიზერი“ ვიყიდეთ 11-12 დოლარის ფარგლებში და ჩინური ვაქცინა „სინოფარმი“ უფრო ძვირია და სადღაც 18-20 დოლარის ფარგლებში გვიჯდება.

ზოგადად ძალიან დიდი დეფიციტია მსოფლიო ბაზარზე ვაქცინების და ადვილი არ არის, რომ აარჩიო ფასის მიხედვით ვაქცინა, – განაცხადა გამყრელიძემ.

პრესკონფერენციაზე გაჟღერდა, რომ ეპიდსიტუაციის სხვადასხვა ინდიკატორები ბოლო ორი კვირის განმავლობაში უარესდება არა ნახტომისებურად და მკვეთრად, არამედ, დინამიკაში.

– საგულისხმოა, რომ მარტის საშუალო დადებითობის მაჩვენებელი 1.65-ია, ის ნაკლებია, ვიდრე იყო თებერვალსა და იანვარში, თუმცა ბოლო ორი კვირა ეს მაჩვენებელი უარესდება. აქტიური შემთხვევების რიცხვიც იმატებს. ეს რაოდენობა მანიშნებელია, რომ ჰოსპიტალურ სექტორზე დაწოლა იზრდება. გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე ყოველდღიურ ინფიცირებულთა რაოდენობა. სიკვდილიანობა კი იკლებს, – აცხადებს გამყრელიძე.

მისი თქმით, თუ შეზღუდვები ბოლომდე მოიხსნება, ის კლასტერები, რაც დღეს ქვეყანაში არსებობს, გამრავლდება და შიდა გავრცელება საყოველთაო იქნება, მაშინ ქვეყანაში სხვადასხვა შეზღუდვების დაწესება გახდება საჭირო.

– გთხოვთ ყველას, რომ აპრილი გავიაროთ რაც შეიძლება მოკრძალებულად და რაც შეიძლება მაქსიმალურად დავიცვათ რეკომენდაციები, რომ სააღდგომო დღესასწაულს შეეხვდეთ მშვიდად. რა თქმა უნდა, თუ ეს ეპიდსიტუაცია, რაც დღეს გვაქვს, არ წავიდა სერიოზულ ნახტომისებურ ზრდაში და შევინარჩუნებთ ამ ეპიდსიტუაციას, მაშინ შესაძლოა ქვეყანას წინასააღდგომო შეზღუდვები არ დასჭირდეს.

თუ ის კლასტერები გამრავლდება, რაც დღეს გვაქვს და შიდა გავრცელება იქნა საყოველთაო, მაშინ ქვეყანას დასჭირდება სხვადასხვა შემზღუდავი ღონისძიების შემოტანა, რაც ორმაგად დამთრგუნველია წინასააღდგომო თუ შემდგომ პერიოდში. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ თავი ავარიდოთ შეკრებებს, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ სოციალური დისტანცია და მივმართოთ ვაქცინაციის პუნქტებს.

სავალდებულო იქნება თუ არა სამედიცინო პერსონალის აცრა, როგორც ყველაზე დიდი რისკ-ჯგუფისა?

გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელ ხათუნა ზახაშვილს მიაჩნია, რომ ჯერჯერობით ქვეყანაში კოვიდვაქცინაცია მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და არ განიხილება, რომ სავალდებულო გახდეს.

– სამედიცინო დაწესებულებების მდგრადობის მიხედვით ფასდება, რას შეიძლება სისტემამ და ქვეყანამ გაუძლოს. თუ სამედიცინო დაწესებულებები არ გვეყოლა კარგად მომზადებული იმისთვის, რომ მიიღოს გაზრდილი შემთხვევათა რაოდენობა სწორად, სწორად მართოს ისინი და ნაცვლად სამედიცინო მომსახურებისა, ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ადამიანები გაგვიხდნენ ავად, ნამდვილად არ არის კარგი.

ჯერჯერობით, ჩვენს ქვეყანაში კოვიდვაქცინაცია რეკომენდაციული ხასიათისაა და არ განიხილება, რომ სავალდებულო გახდეს, თუმცა, ეს თითოეული ადამიანის პირადი პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი მზადყოფნის თემაცაა.

ვფიქრობ, რომ სამედიცინო საზოგადოებას, მიუხედავად მისი დამოკიდებულებისა, აქვთ ცოტა შენელებული დამოკიდებულება დროზე ვაქცინაციის მიმართ. მჯერა, მათთან სავალდებულოობის ელემენტის შემოტანა არ გახდება საჭირო და თითოეული მათგანი გახდება იმის ნიმუში, როგორ შეუძლიათ სხვას მაგალითი მისცენ, ვაქცინაცია ჩაიტარონ და მზად დახვდნენ მორიგი შემოტევის ტალღას, რომელსაც კოვიდი გვიმზადებს, – განაცხადა ზახაშვილმა.

თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში თავად დაწესებულებამ დაუწესა ვაქცინაციის ვალდებულება პერსონალს.

– საქართველოში კოვიდვაქცინის სავალდებულობა არ განიხილება. ჩვენთან კანონმდებლობით რამდენიმე ვაქცინაა სავალდებულო. მაგალითად, აშშ-ში არ არის გრიპის ვაქცინაცია მანდატორული, მაგრამ თუ ექიმი ან ექთანი არ არის აცრილი, მას უჩერდება მუშაობის უფლება. იგივე შეიძლება საავადმყოფოს მფლობელებმა დააწესონ. იგივე რესტორნის მფლობელმა, ან ტურისტული ობიექტების და ა.შ. შეიძლება მსგავსი რეგულაციები იყოს განხილვის საგანი, მაგრამ არა კანონით, – განაცხადა გამყრელიძემ.

თავის მხრივ, პაატა იმნაძემ აღნიშნა, რომ ისრაელში ზოგიერთი საავადმყოფოს მფლობელმა თავის პერსონალს ვაქცინაცია თვითონ მოსთხოვა.

ვისთვის არის რეკომენდებული აცრა?

ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, მოქალაქეები, რომლებსაც ასთმა აქვთ, მათი ვაქცინაცია რეკომენდებულია.

ასთმის მქონე ადამიანები მიეკუთვნებიან თვითონ კოვიდით დაავადების მაღალი რისკის ჯგუფს და, შესაბამისად, ეს არის ის ჯგუფი, რომელიც ერთ-ერთი პირველი უნდა აიცრას. ასევე, ის ადამიანებიც უნდა აიცრან, ვისაც მედიკამენტებზე, შრატებზე ჰქონიათ რეაქცია ან ანაფილაქსია.

„ფაიზერის“ ახალი კვლევით, ვაქცინაცია 16 წლის ასაკიდან პირებში დასაშვებია, ჩვენთან კი 18 წლამდე პირების ვაქცინაცია აკრძალულია და ხომ არ იგეგმება ზღვრის დაწევა 16 წლამდე.

– „ფაიზერისთვის“, ახალი კვლევებით, თავიდანვე იყო შესაძლებლობა, რომ ადამიანები 16 წლიდან აცრილიყვნენ. თავიდანვე ვაქცინაზე 16 წლის ასაკის ადამიანებზე ჩატარდა კვლევები. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ვაქცინისთვის დასაშვებია ასაკი 16 წლიდან, საქართველოში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე ვაქცინაცია ნებისმიერი ვაქცინით, რაც ქვეყანაში შემოვა, დაშვებული იქნება 18 წლის ასაკის ზევით პირებზე.

შესაძლებელია, რომ მოვლენების განვითარების მიხედვით მოხდეს ასაკის ზღვრის დაწევა, მაგრამ არა ამ ეტაპზე, – განაცხადა ზახაშვილმა.

საქართველოში ვაქცინირებული ადამიანებიდან 27-ს გვერდითი მოვლენები ან რეაქცია გამოუვლინდა.

ხათუნა ზახაშვილმა „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვის საპასუხოდ განმარტა, მათგან 4 შემთხვევაში ინტენსიური თერაპია გახდა საჭირო, 3 შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია, ხოლო 2 შემთხვევაში რეანიმაციაში გადაყვანა.

– გვერდითი მოვლენები და რეაქციები ვაქცინაციის შემდეგ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს რამდენიმე გვერდითი მოვლენა და რეაქცია. საქართველოში ვაქცინირებულებიდან ჯერჯერობით რეგისტრირებული გვაქვს ასეთი 27 შემთხვევა, მათგან 4 შემთხვევა იყო, როდესაც დასჭირდათ ინტენსიური თერაპია, 3 შემთხვევაში დასჭირდათ ჰოსპიტალიზაცია, ხოლო 2 შემთხვევაში რეანიმაციული ღონისძიება, – განაცხადა ზახაშვილმა.

ამავე საკითხზე ისაუბრა ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმაც. ამირან გამყრელიძის განცხადებით, ვაქცინაციიდან 1-2 დღის განმავლობაში შესაძლოა დაფიქსირდეს ტემპერატურის მატება, კუნთების, სახსრების ტკივილი, დაღლილობა, ინექციის ადგილზე სიწითლე და სხვ.

– ზოგადად, კოვიდვაქცინებზე გვერდითი მოვლენები უფრო ხშირია 1-2 დღის განმავლობაში, ვიდრე იმ კალენდარულ ვაქცინებზე, რასაც ბავშვთა ასაკში ვიყენებთ. ის სხვადასხვა ვაქცინაზე მერყეობს დაახლოებით 5%-დან 60%-ის ფარგლებში, რომელიც არის შედარებით მსუბუქი. მხედველობაში მაქვს ტემპერატურის მომატება 38 ნახევრამდე, იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა მეტიც. შესაძლოა ასევე იყოს კუნთების, სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი, დაღლილობა, ინექციის ადგილზე სიწითლე. უნდა ვიცოდეთ, რომ კოვიდვაქცინაციის შემდგომი 2 დღის განმავლობაში შესაძლოა ეს დისკომფორტი იყოს, – განაცხადა გამყრელიძემ.

ახალგორელი აქტივისტი მეოთხე დღეა შიმშილობს

ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტი, თამარ მეარაყიშვილი მეოთხე დღეა შიმშილობს. მისი თქმით, პროტესტის უკიდურეს ფორმას იმ მიზეზების გამო მიმართა, რომლის გარკვევას 3 თვეა უშედეგოდ ცდილობს.

მან წერილობით მიმართა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს – ეკატერინე ტიკარაძეს, ეკონომიკის მინისტრს – ნათია თურნავას, შ.პ.ს. „ახალგორის საავადმყოფოს“ დირექტორს – მაკა გათენაშვილს.

„ვშიმშილობ, რათა მივიღო საჯარო ინფორმაცია – რას ხმარდება თანხა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან ირიცხება შ.პ.ს. „ახალგორის საავადმყოფოს“ ანგარიშზე.

– რატომ მაინტერესებს? – მე იმ რამდენიმე ადამიანს შორის ვარ, ვინც აქ ცხოვრობს და არ აქვს დევნილის დახმარება – არც კოტეჯი მიმიღია, არც ფულადი კომპენსაცია და არც სოციალური დახმარება მაქვს. სწორედ მე და იმ რამდენიმესთვის უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტის თანხა, რომელიც თითქოს „ახალგორის საავადმყოფოს“ მუშაობას უწყობს ხელს. სამწუხაროდ, არანაირ დახმარებას არ ვიღებ – ექიმს ფულს ვუხდი, წამალს თავად ვყიდულობ... რაც უფასოდ მიმიღია – ცხინვალი აფინანსებს. რაში იხარჯება ბიუჯეტის თანხა – ამის გარკვევას ვცდილობ,'– აცხადებს თამარ მეარაყიშვილი.

საავადმყოფო, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება:

– მედიაში არაერთხელ გავიდა მასალა ამაზე, აუდიტის სამსახურმაც დაადასტურა ის, რაზეც ვწერ, თუმცა არაფერი იცვლება. რა გამოდის? აქ უნდა ვიცხოვრო, გავიარო ის სირთულეები, რაც აქ ცხოვრებას ახლავს, მუდმივი სტრესი, უიმედობა, შიშში ცხოვრება იმისთვის, რომ, როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრები, ვარსებობდე, რათა თბილისმა გაამართლოს ანგარიშებში თანხის გამოყოფა და მითვისება? ველი ინფორმაციას, რომელიც საჯაროა – 2019 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე რას მოხმარდა საავადმყოფოს დაფინანსება, ქართული დაფინანსების ფარგლებში რა უფასო სამედიცინო მომსახურებით შემიძლია ვისარგებლო?'– კითხულობს თამარ მეარაყიშვილი.

qartli.ge

კორონავირუსის „ბრიტანული შტამის“ 70-ზე მეტი შემთხვევაა



როგორც პაატა იმნაძე განმარტავს, ჯერჯერობით „ბრიტანული შტამი“ ფართოდ არ ცირკულირებს.

– „ბრიტანული შტამის“ საერთო რიცხვი უკვე 70-ზე მეტია, რომლისგანაც გარკვეული ნაწილი კლასტერები იყო. ერთი საკმაოდ დიდი – 19 ადამიანის კლასტერი იყო. საბედნიეროდ, ჯერ არც „სამხრეთაფრიკული“ შტამი, არც „ბრაზილიური შტამი“ ქვეყანაში არ გამოვლენილა. ამაზე მეთვალყურეობა მუდმივად გრძელდება, – აცხადებს იმნაძე.

საქართველოში გეოპოლიტიკური დაძაბულობა მატულობს

ექსპერტები რეგიონში დასავლეთისთვის თავზარდამცემი სამეულის ალიანსზე ალაპარაკდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ საქართველოში მომხდარი და მიმდინარე მოვლენები უკავშირდება გეოპოლიტიკურ პრობლემებს. საუბარია, პირველ რიგში, დესტაბილიზაციის მცდელობებზე. აშშ-ის ოფიციალური პირები საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთი ახდენს დესტაბილიზაციას საქართველოსა და უკრაინაში, რათა უბრძოლველად საბოლოოდ დაიპყროს ეს ქვეყნები. დასავლეთი ცდილობს რუსეთის შეკავებას.

გეოპოლიტიკური ტემპერატურის მატება ყოველდღიურად იგრძნობა საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში. კონფლიქტში შესული და დაზაფრული მოსახლეობა ამ პროცესში ხშირად იბნევა.

საქართველომ გამოაცხადა, რომ არ აპირებს შესვლას კავშირში, რომელშიც ერთიანდებიან რუსეთი, ირანი, თურქეთი, ასევე, აზერბაიჯანი და სომხეთი. ამ პოტენციურ კავშირს, რომლის პროექტი მთიან ყარაბაღში მომხდარი ძვრების შემდეგ დაიბადა, ძირითადად, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა უნდა ჰქონდეს.

საგულისხმოა, რომ ახალი რეალობის შესაბამისად, სატრანზიტო მიმართულებებში ჩართვა მოითხოვა საქართველოს ოკუპირებულმა რეგიონმა – აფხაზეთმა. ამ მიზნით აფხაზეთის პარლამენტმა მიმართვაც გაუგზავნა რუსეთის სახელმწიფო დუმას.

შესაძლოა, ამის პასუხად რუსეთმა აფხაზეთის რკინიგზა ტვირთების გადატანის მიზნებისთვის არ გამოიყენოს. აფხაზეთის რკინიგზის მიმართ რუსეთისა და სომხეთის ინტერესი კლებულობს. სამაგიეროდ, აფხაზეთის და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონები კრემლს ამ სიტუაციაში თბილისზე ზეწოლისათვის გამოადგება.

აფხაზეთში საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, აფხაზეთი შევიდეს რომელიმე გაერთიანებაში რუსეთის მონაწილეობით.

რუსეთ-ირან-თურქეთ-აზერბაიჯან-სომხეთის კავშირის არსებობა ნიშნავს დასავლეთის განდევნას რეგიონიდან.

რუსი ექსპერტები ახლო აღმოსავლეთში დიდ გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებზე ალაპარაკდნენ. ამჯერად საუბარია რუსეთ-თურქეთ-ირანის ალიანსზე.

ეს სამეული ერთმანეთთან თანამშრომლობდა წინა წლებში სირიის პრობლემებზე. მომავალი ალიანსი კი, ექსპერტების ინფორმაციით, დაფუძნებული იქნება სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საწყისებზე. მათი აზრით, თუ თურქეთი და ირანი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირშიც შევიდნენ, ეს თავზარს დასცემს დასავლეთს, ახლო აღმოსავლეთის ვექტორი კი მთლიანად შეიცვლება.

დანიელი ანალიტიკოსები რუსეთისგან ახალ აგრესიას ელიან და ამის პრევენციისათვის მიმართავენ კოლექტიურ დასავლეთს და მოუწოდებენ, პუტინის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები შეცვალოს.

მათი დასკვნით, ტრადიციული სანქციები პუტინსა და მის გარემოცვაზე არ ჭრის. ამ პოლიტიკის გაგრძელება სარისკოა, ვინაიდან ამით პუტინი თავის ქვეყანაში პოზიციებს უფრო გაიმყარებს – მთელ პრობლემებს გარესამყაროს გადააბრალებს.

დანიელი ექსპერტები იხსენებენ რუსეთის 2008 წლის აგრესიას საქართველოში, ასევე 6 წლის შემდეგ „მწვანე კაცუნებით“ დაპყრობილ ყირიმს.

– რუსეთი საქართველოში ღიად შეიჭრა. საბაბად მოიტანა ის, თითქოს ქართველებს იერიში მიაქვთ ოსურ სოფლებზე, რომლებსაც საქართველოდან მოწყვეტა და რუსეთთან შეერთება უნდათ. საქართველოზე თავდასხმამ თვალები აგვიხილა. ყირიმის შტურმი კი გახდა გარდამტეხი ურთიერთობებში რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, – აღნიშნავენ დანიელი ანალიტიკოსები.

მათი სიტყვებით, თუ საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს ქვეყანა ნატოში მიისწრაფოდა და ცეცხლს ეთამაშებოდა, უკრაინაზე ამას ვერ იტყვიან. 7 წლის წინ უკრაინას ნატოში შესვლა არ უნდოდა.

ყირიმის შემდეგ ნატოს ძალები განლაგდა პოლონეთსა და ბალტიისპირეთში. ნატომ გააუმჯობესა ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, შევიდა შავ ზღვაში.

ავტორების აზრით, პუტინს და მის გარემოცვას დასავლეთმა სხვა, ისეთი დარტყმა უნდა მიაყენოს, რომელიც არ დააზიანებს რუსეთის მოსახლეობას.

შექმნილ სიტუაციაში საქართველოში შიდა პოლიტიკური კინკლაობა და დესტრუქცია გაგრძელდება, აშშ იაქტიურებს, რუსეთი კი თავის პროპაგანდას და ფსევდოდასავლურ ძალებს გააძლიერებს.

ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას არაერთი კრიტიკული ხარვეზი იკვეთება

საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიების კუთხით კვლავ იკვეთება არაერთი კრიტიკული ხარვეზი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის ანგარიშშია ნათქვამი.

ანგარიშის თანახმად, რჩება კითხვები გამოძიების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შესახებ.

„2020 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, განაგრძო განახლებული გამოძიების მასალების გაცნობა.

აპარატის წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაადგინეს, რომ გამოძიების კუთხით კვლავ იკვეთება არაერთი კრიტიკული ხარვეზი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წლის 15 სექტემბერს 4-წლიანი წყვეტის შემდეგ, ხელახლა დაიკითხა მნიშვნელოვანი მოწმე კ. თ., რომელიც 2016 წელს მიცემულ ჩვენებაში აღწერდა, რომ 2013 წლის 14 დეკემბრის ღამეს, საკნის ღრიჭოდან დაინახა, როგორ გაიარეს მისი საკნის წინ ივანე მერაბიშვილმა და პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა (სავარაუდოდ სხვა პირებთან ერთად).

ამ ჩვენებასთან დაკავშირებით 2020 წლის 17 დეკემბერს ჩატარებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ მოწმეს მართლაც შეეძლო დაენახა საკნიდან პირთა მნიშვნელოვანი მახასიათებლები.

ექსპერიმენტის ფარგლებში, დერეფანში გაიარა მისთვის აბსოლუტურად უცნობმა პირმა, ხოლო კ. თ.-მ სწორად აღწერა მისი გარეგნობისა და ჩაცმულობის სხვადასხვა დეტალი. კ.თ.-მ ვერ ამოიცნო ექსპერიმენტში მონაწილე პირი, რომელმაც დერეფანში ჩაიარა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს პირი მისთვის უცნობი იყო და ამოცნობა ამიტომ გაუჭირდა, ხოლო ციხის მაშინდელ დირექტორს და ივანე მერაბიშვილს კარგად იცნობდა და მსგავსი ექსპერიმენტის ფარგლებში მათი ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. ექსპერიმენტმა დამატებით დაადასტურა ივანე მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის ფაქტის სარწმუნოობა.

საანგარიშო პერიოდში, ივანე მერაბიშვილის საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე ორი კომუნიკაცია წარადგინა, სადაც მთავრობის მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები შეაფასა. აღსანიშნავია, რომ მერაბიშვილის საქმეზე 2021 წლის მარტში მიღებულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა სახალხო დამცველის შეფასებები გაიზიარა.

ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში კვლავ აღნიშნა, რომ რჩება კითხვები გამოძიების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის შესახებ“ – ნათქვამია ანგარიშში.

შალვა გოგოლაძეს, რომელმაც სევა შამოიანს ცეცხლი წაუკიდა, 17 წელი მიესაჯა

ახალგაზრდა მამაკაცს, შალვა გოგოლაძეს, რომელმაც ყოფილ შეყვარებულ სევა შამოიანს ბენზინი მიასხა, 17 წლიანი პატიმრობა შეუფარდეს.

სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში – განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობაში:

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში – განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული შ.გ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2020 წლის 30 ივნისს, შ.გ.-მ მიაკითხა ს.შ.-ს სახლში, გაიყვანა ეზოში და შერიგება მოსთხოვა. ს.შ.-სგან უარის მიღების შემდეგ, შ.გ.-მ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ბენზინი მიასხა და ცეცხლი წაუკიდა. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო ს.შ. ადგილზე შეკრებილი ადამიანების დახმარებით გადაურჩა დაწვას. სათანადო სამედიცინო ჩარევის შედეგად მისი გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა შ.გ. იმავე დღეს დააკავეს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შ.გ. დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში – განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის მცდელობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით) და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შ.გ. დანიშნულ სასჯელს, შეურაცხადობის გამო, სასამართლოს მიერ დაწესებული იძულებითი მკურნალობის შემდგომ მოიხდის.

ბაჩანა შენგელიას იუსტიციის სამინისტრომ 12.800 ლარი უნდა გადაუხადოს

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, იუსტიციის სამინისტრომ, ბაჩანა შენგელიას საქმიანობის უკანონოდ შეჩერების გამო, 12.800 ლარი უნდა გადაუხადოს.

ამის შესახებ ინფორმაცია ბაჩანა შენგელიამ გაავრცელა.

„ალბათ გახსოვთ, ზაფხულში იუსტიციის მინისტრმა საქმიანობა რომ შემიჩერა. ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, სრულად დააკმაყოფილა ჩემი სარჩელი, უკანონოდ ცნო სანოტარო საქმიანობის შეჩერება და იუსტიციის სამინისტროს დააკისრა ზიანის სახით 12.800 ლარის ანაზღაურება“ – წერს ბაჩანა შენგელია.

მას მიაჩნია, რომ საქმიანობის შეჩერება იმ დევნის კამპანიის გაგრძელება იყო, რაც მისი ოჯახის მიმართ ხორციელდება და რასაც დედამისის სიცოცხლე შეეწირა.

„გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე, აღნიშნული თანხა ჩაირიცხება „ია კერზაიას სახელობის, განათლების განვითარების ფონდში“, რომელიც 2019 წელს დავაფუძნეთ და ფონდის მეშვეობით მოხმარდება იას უსაყვარლეს საქმეს – ქ. ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეების განათლების ხელშეწყობას“ – წერს შენგელია.

სტამბოლში ქართველებს და ჩეჩნებს შორის ჩხუბს 2 ადამიანი შეეწირა

სტამბოლში ქართველებსა და ჩეჩნებს შორის დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა და ორი ადამიანი დაშავდა.

ადგილზე მისულ მედიკოსებს ორი მოქალაქე გარდაცვლილი დახვდათ.

დაშავებულებს შორის ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევა სტამბოლის ერთ-ერთი რესტორნის წინ მოხდა და დაპირისპირებაში 7 ადამიანი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ დაპირისპირების კადრები ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო.

გიორგი შაქარაშვილის საქმის გამოძიება საწყის ეტაპზე არასრულყოფილი იყო

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო.

ამის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშშია ნათქვამი.

2020 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ აღნიშნულ საქმეში მოწმეთა გამოკითხვები არ შეიცავდა დეტალურ კითხვებს და არ იყო ამომწურავი, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია სათანადოდ დადასტურებული, ან გადამოწმებული არ იყო.

„2020 წლის 22 ივნისს, ოთხდღიანი ძებნის შემდეგ, 19 წლის გიორგი შაქარაშვილის ცხედარი მდინარე არაგვში იპოვეს. სახალხო დამცველის აპარატმა ამ საქმეზე, საგამონაკლისო დაშვების საფუძველზე, შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების მასალები, რომელიც ასახავდა 2020 წლის 19 ივნისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას.

მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო. ამასთან, მოწმეთა გამოკითხვები არ შეიცავდა დეტალურ კითხვებს და არ იყო ამომწურავი, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იყო სათანადოდ დადასტურებული ან გადამოწმებული (მაგ., ამოცნობის ან ექსპერიმენტის მეშვეობით).

ამ ხარვეზების ნაწილი მოგვიანებით გამოძიებამ აღმოფხვრა.

ასევე გამოიკვეთა პოლიციელთა მხრიდან საქმის მონაწილე პირების შესაძლო უფლების დარღვევის ფაქტები, რამაც შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საჭიროება წარმოშვა.

შესაბამისად, 2020 წლის 20 აგვისტოს, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

წარდგენილ წინადადებაში სახალხო დამცველმა გამოძიების საწყის ეტაპზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ნაწილი არაჯეროვნად და დაგვიანებულად შეაფასა და უწყებებს გამოძიების ეფექტიანობის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად არაერთი კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა.

სახალხო დამცველის აპარატი აკვირდებოდა საქმის განხილვას პირველ ინსტანციაში, უახლოეს მომავალში შევისწავლით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებს და დავაკვირდებით საქმის შემდგომ მსვლელობას“ – აღნიშნულია ანგარიშში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის განცხადება

სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 31 მარტს საქართველოში სტუმრად მყოფი პირები, რომლებმაც დაარღვიეს იზოლაციისა და კარანტინის წესები, არ დაჯარიმებულან.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვასაჯაროებთ ადმინისტრაციული ჯარიმის ქვითარს და აქვე, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად დაჯარიმდა 32 პირი.

ამასთან, ყველა მათგანის ჯარიმა გადახდილია, რის შემდეგაც მათ დატოვეს ქვეყანა.



er667589

ელექტრონული საჯარიმო ქვითარ

ერ667589

01/04/2021 03:31

ქვითრის შემდგენი პირი

ლუდუშაური ივანე

პატრულ-ინსპექტორი

3 -

სამართალდამრღვევი

POZNER VLADIMIR DIMITRI 01/04/1

თბილისი, თბილისი მ.კოსტავას

ქუჩა სასტუმრო „ რუმსი "

ავტოსატრანსპორტო საშუალება

/

სამართალდარღვევა

01/04/2021 03:31

ა.ს.კ. 042-1-0;

ფიზიკური პირის მიერ იზოლაცი

და კარანტინის წესების

დარღვევა.

ჯარიმა: 2000 ლარი

შესამცირებელი ქულა: 0

დარჩენილი ქულა: 100

მთაწმინდა

41.70674874 44.7865783

41.70674874 44.7865783

ჩამორთმეული დოკუმენტები

დაზარალებულები და მოწმეები

ხელმოწერა

ინფორმაცია მართვის მოწმობაზ

დარჩენილ ქულათა რაოდენობის

შესახებ შეგიძლიათ შეამოწმოთ

მომსახურების სააგენტოს

ოფიციალურ კაბინეტზე

my.sa.gov.ge

ხაშურის რესტორანში 2 ახალგაზრდა დაჭრეს

ხაშურში, რესტორან „დიაოხში“, „მთავარის“ ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის დაწყებული კონფლიქტი დაჭრით დასრულდა.

ერთმა მამაკაცმა ორ ახალგაზრდას ცივი იარაღით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა და ადგილიდან მიიმალა.

დაზარალებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

– ერთი მსუბუქად იყო დაჭრილი, რაც შეეხება მეორეს, მას მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა, მათ შორის იყო მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობა, შიდა ორგანოების დაზიანებით და მას ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, – ამბობს ექიმი

რესტორნის თანამშრომლები „მთავარ არხთან“ მომხდარს უარყოფენ.

გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

როგორც შსს-ის პრესსამსახური ამბობს, სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებულია.

ყვარელში ახალგაზრდა მამაკაცი მუცელში დაჭრეს

ყვარლის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

შემთხვევა სოფელ გრემში მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, თანასოფლელმა თანასოფლელს ცივი იარაღით მუცლის არეში მიაყენა ჭრილობა.

დაჭრილი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის საავადმყოფოში მოათავსა, სადაც მას ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა და სამედიცინო დაწესებულება უკვე დატოვა.

პოლიციამ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთი ადამიანი დააკავა.

ჯო ბაიდენმა 2-ტრილიონიანი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო გეგმა წარადგინა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ინფრასტრუქტურის საინვესტიციო გეგმა წარადგინა, რომლის მოცულობა 2 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პრეზიდენტის მიერ ინიცირებული გეგმა ითვალისწინებს გზების, მაგისტრალების, ხიდების, პორტების მშენებლობასა და აღდგენას, კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლასა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას.

გეგმა 8-წლიანია და ითვალისწინებს მილიარდობით აშშ დოლარის გამოყოფას მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაფართოების, წყლის მილების შეცვლის, სუფთა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის და ახალ, უფრო სუფთა ენერგიის წყაროებზე გადასვლის მიზნით.

ის ასევე მოხმარდება მოხუცთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესებას, სკოლების მოდერნიზებას.

ბაიდენის თქმით, დაფინანსების პაკეტი ქვეყანაში მილიონობით სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს.

ბაიდენის გეგმა, სხვა ინიციატივებთან ერთად, გადასახადის განაკვეთს 21%-დან 28%-მდე გაზრდას და საგადასახადო კოდის შეცვლას ითვალისწინებს, რისი მიზანიც იმ ხარვეზების აღმოფხვრაა, რაც კომპანიებს მოგების საზღვარგარეთ გადატანის საშუალებას აძლევს. პრეზიდენტის მიერ ინიცირებული გეგმა კონგრესმა უნდა დაამტკიცოს.

ჰანს კლუგე: „ევროპაში ვაქცინაციის ტემპი დაუშვებლად ნელია“

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორი ჰანს კლუგე აცხადებს, რომ ევროპაში ვაქცინაციის ტემპი დაუშვებლად ნელია და ამან, ახალი ვარიანტების გავრცელების ფონზე, შესაძლოა, პანდემიის გახანგრძლივება გამოიწვიოს.

– ვაქცინის 1 დოზა რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს აქვს მიღებული, სრულად ვაქცინირებული კი მხოლოდ 4 პროცენტია. ვაქცინების გამოყენების ტემპი დაუშვებლად ნელია. ჩვენ უნდა დავაჩქაროთ პროცესი წარმოების დაჩქარებით, ვაქცინების განაწილების ბარიერების შემცირებით და საწყობში არსებული თითოეული ფლაკონის გამოყენებით, – აღნიშნა კლუგემ.

მისი თქმით, ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

– იმის გამო, რომ ვარიანტები ვრცელდება, საავადმყოფოებზე დატვირთვა მატულობს და რელიგიური დღესასწაულები მობილობის ზრდას იწვევს, ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, – განაცხადა ჯანმოს წარმომადგენელმა.

ნავალნიმ შიმშილობა გამოაცხადა

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა ნავალნიმ შიმშილობა გამოაცხადა. ნავალნი ამტკიცებს, რომ სამედიცინო დახმარება სჭირდება, ხელისუფლება კი ამაზე უარს ეუბნება.

– ზურგის არეში ტკივილები მაწუხებს. მოვითხოვ, რომ ჩემთან სასწრაფოდ ექიმი დაუშვან, – თქვა ნავალნიმ.

მეზობლებმა ფანჯრიდან გადავარდნილი გოგონა გადაარჩინეს

ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ შენიჩჟენში მეზობლებმა გადაარჩინეს 13 წლის გოგონა, რომელიც მრავალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადავარდა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე, გოგონა სახლის მეოთხე სართულზე ებღაუჭება ფანჯრის გისოსს. თუ როგორ აღმოჩნდა ის იმ მდგომარეობაში, უცნობია. სახლის წინ თავი მოიყარა ხალხმა, რომლებიც მომხდარს თვალს ადევნებდნენ.

გოგონამ თავი ვეღარ შეიმაგრა და ჩამოვარდა, მაგრამ მეზობლებმა იმ მომენტისთვის ოდეალას გაჭიმვა და მისი დაჭერა მოახერხეს. შედეგად გოგონა სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა, თუმცა ის მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოში და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალიფორნიაში სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა

აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ქალაქ ორინჯში მომხდარი სროლის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, ორი კი – დაშავდა.

სროლა ბიზნესცენტრში მოხდა და დაღუპულებს შორის ბავშვიცაა.

დაშავებულია თავად ეჭვმიტანილიც, რომელიც სამართალდამცავებმა დააკავეს.

აღნიშნული შემთხვევა აშშ-ში ბოლო ორი კვირის განმავლობაში მომხდარი მესამე მასობრივი სროლაა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა.

16 მარტს შეიარაღებულმა პირმა ატლანტაში, 3 სპა ცენტრში 8 ადამიანი მოკლა. 22 მარტს კი შეიარაღებულმა მამაკაცმა ცეცხლი კოლორადოს ერთ-ერთ სუპერმარკეტში გახსნა, რასაც 10 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის თანამშრომელმა ძველმანებში სოლიდური თანხა იპოვა და პატრონს დაუბრუნა

ამერიკის ოკლაჰომის შტატის ქალაქ ნორმანში მეორადების მაღაზიის თანამშრომელმა 42 ათასი დოლარი აღმოაჩინა შეკვრაში, რომელშიც ძველი ჯემპრები იყო შეხვეული.



ანდრეა ლესინგი ახლადმიღებულ ფუთებს ხსნიდა და მათში მოთავსებულ მეორადტანსაცმელს ვარგისიანობაზე ამოწმებდა, რა დროსაც ორი ერთად დაკეცილი ჯემპრი ნახა.

– ჯემპრებს შორის აღმოჩნდა კონვერტების შეკვრა შიგ მოთავსებული ასდოლარიანი კუპიურებით. პირველი აზრი, რომელმაც თავში გამიელვა, ის იყო, რომ ისინი ნამდვილი არ იყო, – განაცხადა ლესინგმა.

საერთო ჯამში, ქალმა 42 ათასი დოლარი დათვალა. გარდა ამისა, კონვერტებში იდო საბუთები, რომლებიც მას მისი პატრონის პოვნაში დაეხმარა.

საქველმოქმედო ორგანიზაციის, რომელსაც აღნიშნული მაღაზია ეკუთვნის, ვიცეპრეზიდენტმა ფრენკ ჰოლანდმა აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ იმ პირის პოვნა, რომელმაც საქველმოქმედო ორგანიზაციას ასეთი ტანსაცმელი შესწირა, ვერ ხერხდება.

ლესინგმა კი აღნიშნა, რომ ფულის დატოვების ცდუნება დიდი იყო, მაგრამ სიკეთის სჯერა.

– მე ქალიშვილი მყავს, ძალიან მიყვარს და მისი კეთილდღეობით ვერ გავრისკავ. ვიცი, რომ სხვისი ფულის მითვისება სარისკოა. მჯერა, რომ როდესაც სიკეთეს აკეთებ, ის უკან გიბრუნდება, – განაცხადა ქალმა.

საბოლოოდ ნაპოვნი ფულის პატრონმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მაღაზიის თანამშრომელს გამოჩენილი პატიოსნებისთვის ჯილდოს სახით ათასი დოლარი აჩუქა.

მოზარდი ნიანგმა მისი მეგობრების თვალწინ იმსხვერპლა

შრი-ლანკის ქალაქ სამპურის მახლობლად, წყალსაცავში ბანაობის დროს, მოზარდს ნიანგი დაესხა თავს და წყლის სიღრმეში ჩაითრია.

კვირას, 28 მარტს, 15 წლის მოზარდი მეგობრებთან ერთად საბანაოდ წყალსაცავზე იმყოფებოდა.

მოულოდნელად ბიჭს თავს ნიანგი დაესხა. რეპტილიამ მოზარდი წყლის სიღრმეში ისე სწრაფად ჩაითრია, რომ მისმა მეგობრებმა დახმარების აღმოჩენა ვერ მოასწრეს.

ადგილობრივებმა, პოლიციელებთან და მეზღვაურებთან ერთად მოზარდის სამძებრო სამუშაოები განახორციელეს, მაგრამ მის ცხედარს ამ დრომდე ვერ მიაგნეს.

თავისუფალი თეატრი 20 წლის გახდა

თავისუფალი თეატრი 20 წლის გახდა. საიუბილეო თარიღის აღნიშვნა თეატრის ხელმძღვანელობამ პანდემიის გამო, სამომავლოდ გადადო.

ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის დამაარსებელი:

– ჩემი თავისუფალი თეატრი 20 წლის გახდა. რამდენი სიხარული და ამავე დროს რამდენი ღალატი, დარტყმა და ტკივილი ვიგემეთ ამ ხნის მანძილზე. პირველივე დღიდან ჩვენი დევიზი იყო: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს მაყურებელს“, ამ ოცი წლის მანძილზე საქმით დავამტკიცეთ, რომ ეს სიტყვები არ ყოფილა მარტო გახსნის დღისათვის დეკლარირებული ლამაზი სიტყვები. სიმართლისა და დღესასწაულისათვის ვუყვარდით და ვუყვარვართ მაყურებელს და სწორედ ამ სიმართლისათვის არასოდეს ვუყვარდით არც ერთ ხელისუფლებას.

თავისუფალი თეატრი 20 წელია არსებობს და ამაყი ვარ, რომ 20 წელია ყველა რეიტინგით თავისუფალი თეატრი საუკეთესო ქართული თეატრების პირველ რიგებშია, მე ამაყი ვარ, რომ ეს პატარა თეატრი გაცილებით მეტ მაყურებელს ღებულობდა ამ წლების მანძილზე, ვიდრე სახელმწიფოსგან დაფინანსებული თეატრები.

ყველას მადლობას ვუხდი, ვინც გვეხმარებოდა წლების მანძილზე, მაგრამ ყველაზე დიდი მადლობის სიტყვები მინდა ვუთხრა იმ მაყურებელს, რომელმაც პირველივე წამიდან შეიყვარა ჩვენი თეატრი და 20 წლის მანძილზე არც ერთი წამით არ განელებია ეს სიყვარული, ეს გვაცოცხლებს და ცხოვრების სტიმულს გვაძლევს. თავისუფალი თეატრის 20-წლიანი წარმატების, პერმანენტული ანშლაგების მიზეზი შეიძლება ბევრი რამ იყოს, მაგრამ მთავარი ორი მგონია: 1. თავისუფალ თეატრს ჰყავს თავისუფალი მაყურებელი, რომელმაც იცის, რომ ჩვენ სცენიდან ყოველთვის ველაპარაკებით მას იმ სატკივარზე, რაც თვითონ მას სტკივა და 2. პირველი სპექტაკლიდან მოყოლებული, უკვე გამოჩენილი ოსტატების გვერდით, ჩვენ ვაძლევდით შანსს სრულიად უცნობ ახალგაზრდებს გამოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობები.

ვამაყობ იმით, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე ამ 20 წლის მანძილზე ათასზე მეტმა ახალგაზრდამ დადგა ფეხი და პროფესიული ასპარეზი სწორედ ჩვენი სცენიდან დაიწყო, ვამაყობ იმით, რომ ათეულობით რეჟისორმა შეძლო განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი. დღეს მე ვამაყობ წლების მანძილზე სათუთად შეკრებილი თავისუფალი თეატრის სამსახიობო ვარსკვლავური დასით, რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ქვეყნის მაღალპროფესიონალური თეატრი და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის დღეს საუკეთესო დასია საქართველოში. გილოცავთ თავისუფალი თეატრის დაბადების დღეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სანიოლის პირველი ქულა — საქართველომ ფეხბურთის თამაში დაიწყო

საბერძნეთი-საქართველო 1:1

სალონიკი. ტუმბა არენა

0:1 კაკაბაძე (75წკ), 1:1 კვარაცხელია (78)

საბერძნეთი: ვლაჰოდიმოსი, ბაკაკისი (მავრიასი 42), პაპადოპულოსი, ცაველასი, იანულისი, ზეკა, ბაკასეტასი (იაკუმაკისი 70), ბუხალაკისი (სიოპისი 87), ციოლისი (ლიმნიოსი 46), პავლიდისი (მასურასი 70), ფორტუნისი

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კაშია, დვალი, გიორბელიძე, კანკავა, აბურჯანია (გვილია 74), ლობჟანიძე (ჯიღაური 84), კიტეიშვილი (კვეკვესკირი 84), კვარაცხელია, ზივზივაძე (ქვილითაია 63)

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველი ქულა საბერძნეთში მოიპოვა. ვილი სანიოლის გუნდი 1:1 ეთამაშა ელინებს და ფრანგმა სპეციალისტმაც ათვლა დაიწყო.

უნდა ვთქვათ, რომ ამ სამ მატჩში გამოჩნდა სანიოლის პლუს-მინუსები, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ პლუსები სჭარბობს, რაც აქამდე საქართველოს ნაკრების მწვრთნელებში არ ყოფილა. მოკლედ, მუსიე ვილი ჯერ კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

სანიოლი თუნდაც იმისთვის არის შესაქები, რომ 6 დღეში გუნდმა მე-3 მატჩი ითამაშა და გუნდს არ ეტყობა დაღლა, უმოტივაციობა. სამაგიეროდ, ეტყობოდა ბალანსირება, სითამამე შეტევაში. ჰო, შეტევაზე გაგვახსენდა, რომ გუნდს აკლდა გიორგი ჩაკვეტაძე და აგრეთვე გიორგი წიტაიშვილი, რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს პასპორტი, მაგრამ ტრავმის გამო შეკრებაზე ვერ ჩამოვიდა. ტრავმა მიიღო შვედებთან მატჩში კიდევ ერთმა ახალმა ქართველმა გიორგი მიქაუტაძემ. ასე რომ, სანიოლის გუნდს შეტევაში კიდევ უფრო მეტის პოტენციალი აქვს. გარდა ამისა, ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ერთ კვირა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ნიკოლოზ რაჭველი: „სტუმართმოყვარეობის და მასპინძლობის ადათი საქართველოში არასდროს ვრცელდებოდა დამპყრობლებსა და მტრებზე!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მაგრამ მეორეა, როგორ ექცევი იმ ერს, რომელსაც ეფიცები სიყვარულს.

ბაშმეტიც და პოზნერიც საზრდოობენ პუტინის ინდულიგენციებით, მაგრამ მათი რანგის პროფესიონალებს და აღიარებულებს სხვებისგან სწორედ ის გამოარჩევს, რომ მათ შეუძლიათ იყვნენ თავისუფლები, შეუძლიათ თავი აარიდონ ვალდებულებების იმ ნაწილს, სადაც მათ ავალებენ, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართ საჯაროდ დააფიქსირონ საქართველოსთვის, ჩვენი ხალხისთვის და მით უფრო, ჩვენი წამებული გმირების სულებისთვის ყოვლად შეურაცხმყოფელი მოსაზრებები თუ მოქმედებები. მათ კი ეს არ ქნეს, ვერ კი არა, სამწუხაროდ, არ!!!

ჰოდა, არც ბაშმეტს უნდა სწყინდეს მისადმი გამოხატული პროტესტი საქართველოში და, მით უმეტეს, პოზნერს, რომელსაც არც ამერიკის პასპორტი უშველის და არც ქართული ხელოვნებისადმი რევერანსები.

სტუმართმოყვარეობის და მასპინძლობის ადათი საქართველოში არასდროს ვრცელდებოდა დამპყრობლებსა და მტრებზე! უბრალოდ, ვისურვებდი, საქმე აქამდე არ მისულიყო და მათ, ვისთანაც ლოჯისტიკურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რუსი „ტურისტების“ საქართველოში ვიზიტის ორგანიზატორები, მინიმუმ რეგულაციებისა და კომენდანტის საათის მომიზეზებით თავაზიანად ეთქვათ უარი წვეულების თბილისში გამართვაზე. ეს იქნებოდა გონივრული პრევენცია.

ახლა კი რაც ხდება, ყველამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, სტუმრებმაც და უშუალოდ მათმა მასპინძლებმაც, საქართველოს სასაზღვრო ორგანიზაციების ჩათვლით! ხოლო ის, თუ რას იფიქრებენ ჩვენზე, მე აღარ მაღელვებს, რადგან უფრო მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ჩვენზე გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, ამერიკა, იაპონია და პორტუგალია...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

სანიოლის პირველი ქულა – საქართველომ ფეხბურთის თამაში დაიწყო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ში აღმოაჩინა ფეხბურთელები, რომელთაც მისი წინამორბედი საერთოდ ვერ ამჩნევდა. მცირე ლაფსუსები სანიოლსაც აქვს, მაგრამ ეს ჯერ იმდენად არ ჩანს, რომ სერიოზული პრობლემები გვქონოდა.

ამ სამ მატჩში აშკარად მეტ ქულას ვიმსახურებდით, მაგრამ ერთზე მეტი არ გამოვიდა. თუმცა, ბერძნებთან მოგებაც შეიძლებოდა, შვედებთან ფრე, ესპანელებთან კი ქულა ჯიბეში რომ გვედო, იმ დროს ამოგვაცალეს.

დავუბრუნდეთ საბერძნეთთან მატჩს: თუ საწყის 15 წუთს არ ჩავთვლით, როდესაც ცოტა არეულები გამოვიყურებოდით, დანარჩენი დრო საქართველოსი იყო. ჩვენები უკეთესად გამოიყურებოდნენ, მომენტებიც მეტოქეზე მეტი შექმნეს, მაგრამ...

გამოსწორდა დაცვის მარცხენა ფლანგი – გურამ გიორბელიძე ამ სამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში. ავსტრიულ ვოლფსბერგერში მოთამაშე ფეხბურთელი, ალბათ კიდევ უფრო დაღვინდება და ეს კარგია.

ცუდად არ წარმოჩენილა ლაშა დვალი, მაგრამ ცენტრალურ მცველებში დიდი კონკურენცია გვაქვს და მასაც მოუწევს ბევრი რამის დამტკიცება.

დაცვის ცენტრში ერთადერთი შეუცვლელი ფიგურა გურამ კაშია რომ არის, ამ მატჩებმაც გამოაჩინა. გურამს ლიდერის თვისებებიც აქვს და ეს ბერძნებთან მატჩშიც დამტკიცდა. განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო ის მომენტი, როდესაც საკუთარ კარში გატანილი გოლის ავტორ ოთარ კაკაბაძეს ამხნევებდა ხვიჩა კვარაცხელიას გამთანაბრებელი გოლის შემდეგ.

ნახევარდაცვაში ცოტა მეტი პრობლემა გვაქვს. აქ შეუცვლელი მარტო ჯაბა კანკავაა. პლუს ოთარ კიტეიშვილი, რომელიც გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. დანარჩენები უფრო როტაციის ფეხბურთელები არიან. ხარვეზებით, მაგრამ გარკვეულ მომენტებში დაყრდნობა შეიძლება.

შეტევის ფლანგები: ხვიჩა კვარაცხელიაზე უკვე ევროპა ალაპარაკდა და ბევრს არაფერს ვიტყვით. „კვარამ“ ბერძნებთან მორიგი შედევრი გოლი გაიტანა და ისედაც აწიოკებდა მათ დაცვას.

უფრო პრობლემატურია მარჯვენა ფრთა. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი იყო ამ სამ მატჩში, ისევე, როგორც ცენტრფორვარდის პოზიცია.

ცოტა მეტი გუნდურობაც გვინდა და პერსპექტივა ჩანს. სანიოლის კი, ბევრი მუშაობა მოუწევს...

ჯონ ვან სხიპი:

– ეს ის შედეგი არ არის, რაც გვსურდა. მოგება გვინდოდა, მაგრამ მეტოქედ გვყავდა კარგი გუნდი, რომელმაც წინა ორივე მატჩში საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა. ჩვენ ვერ ვითამაშეთ იმ დონეზე, როგორიც შეგვიძლია. გვქონდა პირველ ტაიმში მომენტები, მაგრამ მთლიანობაში, რთული თამაში გამოგვივიდა. ვიცოდით, რომ საქართველო საშიში იყო და ერთ წუთში გავათანაბრებინეთ. უკეთესად უნდა დაგვეცვა თავი. შედეგით კმაყოფილი არ ვართ. შესაძლოა, ფრე დღეს სამართლიანი იყო, მაგრამ ეს ის არ არის, რაც გვსურდა.

ვფიქრობ, გვაკლდა ინტენსივობა. ბევრმა ფეხბურთელმა ვერ ითამაშა სათანადო დონეზე. საქართველოს ნაკრები ბურთს კარგად აკონტროლებდა, მათ დიდ სივრცეებს ვუტოვებდით. არ მგონია, რომ ეს ესპანეთთან მატჩის შემდეგ გადავიღალეთ, რადგან ვარჯიშებზე გუნდი ენერგიულად გამოიყურებოდა. რაც შეეხება გაშვებულ გოლს, თავისუფალი სივრცე დავტოვეთ, კვარაცხელიამ კი, ამით ბოლომდე ისარგებლა და ხელი ვეღარ შევუშალეთ.

ამოცანა გავირთულეთ, მაგრამ ყველაფერი წინაა და სექტემბრისთვის უნდა მოვემზადოთ, როდესაც კოსოვოსა და შვედეთთან მოგვიწევს თამაში. ეს უმნიშვნელოვანესი მატჩები იქნება.

ვილი სანიოლი:

– საწყისი 2 შეხვედრისგან განსხვავებული თამაში გვქონდა. პირველი თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, ბერძნებთან კი, პირველ წუთებში არ-

ცთუ ისე კარგად ვმოქმედებდით. თუმცა ვიცოდით, რომ დაღლილობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მესამე შეხვედრა ყველაზე რთული იქნებოდა. საწყის 20 წუთში, ვფიქრობ, სწორედ ამიტომ გაგვიჭირდა, თუმცა შემდეგ მატჩის მსვლელობას ჩვენ უფრო ვაკონტროლებდით. ასევე ვთვლი, რომ კარგი მეორე ტაიმი ჩავატარეთ.

რაც შეეხება შედეგს, საკუთარ კარში გატანილი გოლის შემდეგ თამაშში დაბრუნება ძალიან რთულია. თუმცა, ბიჭებმა ხასიათი აჩვენეს და ანგარიში სწრაფად გავათანაბრეთ. ვფიქრობ, თამაში უფრო მეტად რომ გვეკონტროლებინა და გარკვეულ მომენტებში უკეთესი გადაწყვეტილებები მიგვეღო, 3 ქულის მოპოვებაც შეგვეძლო. მიუხედავად ამისა, ბერძნებთან მოპოვებული ერთი ქულა ფეხბურთელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო ერთი კვირა, ძალიან კარგად ვიმუშავეთ და დიდ გუნდებს დავუპირისპირდით. ამასთან ერთად ვეთამაშეთ საბერძნეთს სტუმრად და აქ ქულის მოპოვება ადვილი არ არის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აღნიშნული კვირით კმაყოფილი ვარ. არ მომწონს, ქულების რაოდენობა, რადგან ვთვლი, რომ ცოტა უფრო მეტი უნდა გვქონდეს. მენტალობა, შრომა და დისციპლინა, რაც ფეხბურთელებისგან ვიხილე, ძალიან მომეწონა.

ივნისში ამხანაგურ შეხვედრებს ჩავატარებთ, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვა ფეხბურთელებიც შევავფასო. იმიტომ, რომ როდესაც მოკლე პერიოდში ზედიზედ 3 შეხვედრის გამართვა გიწევს, უფრო სხვა ფაქტორებზე კონცენტრირდები. აღნიშნულ შეკრებაზე არა მხოლოდ ფეხბურთელებს დავაკვირდებით, არამედ ვიმუშავებთ ჩვენს სათამაშო სტილზე. მე ყოველთვის ვამბობ, რომ მსურს ცოტათი უფრო მეტად ვაკონტროლებდეთ თამაშს და ამაზე უნდა ვიმუშაოთ. ასევე ველოდები სექტემბერს, რათა საკვალიფიკაციო ეტაპი განახლდეს. ჩვენ შევეცდებით, საქართველო საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინოთ.

ხვიჩა კვარაცხელია:

– საბერძნეთთან თანაბარი ბრძოლა იყო, მოგების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. პირველი ქულა ავიღეთ და ეს სასიხარულოა, მაგრამ მოგებაც შეგვეძლო. ვთვლი, რომ ასე უნდა გავაგრძელოთ, თამაშები მოვიგოთ და ჩვენს ჯგუფში მაქსიმუმი გავაკეთოთ. ყოველ მესამე დღეს თამაში ძალიან რთულია, რადგან ასეთ რეჟიმს მიჩვეული არ ვართ. მიუხედავად ამისა, მოედანზე ჩვენი ქვეყნისთვის გავდივართ და მაქსიმალურად ვიხარჯებით. ალბათ გუნდს ცოტა დაღლილობაც ეტყობოდა. შემდეგ თამაშებშიც ძალიან უნდა მოვინდომოთ და გავიმარჯვოთ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება მეტოქე. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც, შედეგის მიუხედავად, ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან.

გიორგი აბურჯანია:

– ურთულესი კალენდარი გვქონდა, სტუმრად შვედეთს და საბერძნეთს დავუპირისპირდით, საკუთარ მოედანზე – ესპანეთს. ამის მიუხედავად, გუნდმა თავი კარგად წარმოაჩინა და აჩვენა, თუ რა მიმართულებით ვითარდება. პირველი ქულა საბერძნეთთან სტუმრად მოვიპოვეთ და ეს ადვილი ნამდვილად არ იყო. ვფიქრობ, უფრო მეტად რომ გაგვმართლებოდა, ამ 3 შეხვედრაში 4 ან მეტი ქულის მოპოვებაც შეგვეძლო. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელს სამუშაოდ დიდი დრო არ ჰქონდა, რადგან ყოველ 3 დღეში თამაში იყო.

ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. ესპანეთმა სევილიაში უმასპინძლა კოსოვოს და 3:1 დაამარცხა.

ესპანელებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს. გოლები იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს, ვინც თავი 28 მარტს თბილისში გამოიჩინა – დანი ოლმომ და ფერან ტორესმა.

ესპანეთს დაცვაში რომ პრობლემები აქვს, კოსოვოსთანაც გამოჩნდა და 70-ე წუთზე ბესარ ჰალიმიმ ანგარიში შეამცირა. თუმცა, შეცვლაზე შესულმა ჟერარ მორენომ მალევე აღადგინა პირველი ტაიმის სტატუს კვო და „ფურია როხამ“ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

სატუჩნიო ცხრილი:

1.ესპანეთი	3	2	1	0	6-3	7
2.შვედეთი	2	2	0	0	4-0	6
3.საბერძნეთი	2	0	2	0	2-2	2
4.საქართველო	3	0	1	2	2-4	1
5.კოსოვო	2	0	0	2	1-6	0

ლიპი იუვენტუსში ბრუნდება

რამდენიმე გავლენიანი იტალიური მედიის ცნობით, 73 წლის ლეგენდარული იტალიელი სპეციალისტი მარჩელო ლიპი ტურინის იუვენტუსში ბრუნდება.

თუმცა, ამჯერად, ტექნიკური მიმართულების ხელმძღვანელის პოსტს ჩაიბარებს და დღევანდელ მმართველ ტრიოსთან (ნედვედი-კერუბინი-პარატიჩი) ერთად შეუდგება გუნდის გაძღოლას.

მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბში ბევრი ცვლილებაა დაგეგმილი და ეს მხოლოდ სატრანსფერო კამპანიას არ ეხება. შესაძლოა გადანაცვლებები ხელმძღვანელობაშიც მოხდეს. გარკვეული კითხვის ნიშნებია ფაბიო პარატიჩის მომავალზე, რომელიც არაა გამორიცხული, ჯოვანი კარნევალიმ შეცვალოს.

ასევე, გავრცელებული ცნობებით, ლიპი გასახდელში მიმდინარე პროცესებშიც შეიტანს წვლილს და ანდრეა პირლოს პირად მრჩევლადაც მოგვევლინება.

რაც შეეხება თავად პირლოს, იმ შემთხვევაში დარჩება იუვენტუსში, თუ გუნდი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის ზონაში დაასრულებს ჩემპიონატს.

მიუხედავად პაველ ნედვედის განცხადებისა, კლუბი უკმაყოფილოა არსებული რეალობით და ფინანსური სიტუაციიდან გამომდინარე, მათთვის ახლა ევროზონაში მოხვედრა პრიორიტეტულ დავალებად იქცა. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განვითარდა, მაისში ანდრეა ანიელი მთავარ მწვრთნელს შეხვდება და მასთან ერთად სამომავლო გეგმებზე ისაუბრებს.

სატრანსფერო პოლიტიკაც სწორედ ამ შედეგზეა დამოკიდებული, რის შემდეგაც მთავარ მწვრთნელთან ერთად დაიგეგმება, თუ ვინ დატოვებს ტურინს და, პირიქით, რომელი ფეხბურთელები შეეცდებიან მომავალ სეზონში გუნდისთვის სასურველი შედეგის მოტანას.

ასე რომ, პირლოსთვის ეს პერიოდი გადამწყვეტი იქნება. საინტერესოა, როგორ გაუმკლავდება შექმნილ წნეხს ტურინელთა თავკაცი.

ბითაძე წუთებს სარგებლიანად იყენებს



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა საშინაო მატჩი 87:92 წააგო მაიამი ჰიტთან. მიმდინარე სეზონში ეს ინდიანელთა 25-ე მარცხია. თუმცა, ქართველ ცენტრს საკმაოდ კარგი სტატისტიკა ჰქონდა.

ბითაძე თამაშში ტრადიციულად სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 11 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მიითვალა.

ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 2 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო. მისი მოედანზე ყოფნის პერიოდში ინდიანამ მეტოქეზე 7 ქულით მეტი ჩააგდო და ეს, მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. მწვრთნელიც ალბათ უფრო მეტ ხანს დატოვებდა, 5 პერსონალური ფოლი რომ არ მიეღო.

პეისერსმა 21 მოგება და 25 მარცხი მოაგროვა, აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-9 ადგილზე იმყოფება და ფლეი ოფში გასასვლელად ბრძოლას განაგრძობს. ბითაძის გუნდი მომდევნო შეხვედრას შარლოტ ჰორნეთსთან გამართავს.

მოსკოვის ცსკამ ევროლიგის ფლეი ოფის საგზური რუსულ დერბიში გაინაღდა. თორნიკე შენგელიას გუნდმა სანკტ-პეტერბურგის ზენიტი 86:74 დაამარცხა.

თორნიკე სასტარტო ხუთეულში იყო და 29 წუთში 14 ქულა ჩააგდო, რაც გუნდში მეორე შედეგია. მის ანგარიშზეა 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა. ქართველი ფორვარდი მარგი ქმედების კოეფიციენტით (16) ორ კალათბურთელს ჩამორჩა.

მომდევნო მატჩში ცსკა კიდევ ერთ რუსულ კლუბ ხიმკის ეთამაშება, რომელიც ევროლიგის უიმედო აუტსაიდერია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

ანდორა-უნგრეთი	1:4
ინგლისი-პოლონეთი	2:1
სან მარინო-ალბანეთი	0:2
სომხეთი-რუმინეთი	3:2
გერმანია-ჩრ.მაკედონია	1:2
ლიხტენშტაინი-ისლანდია	1:4
ავსტრია-დანია	0:4
ბოსნია-საფრანგეთი	0:1
საბერძნეთი-საქართველო	1:1
ესპანეთი-კოსოვო	3:1
ლიტვა-იტალია	0:2
მოლდოვა-ისრაელი	1:4
ჩრ.ირლანდია-ბულგარეთი	0:0
უკრაინა-ყაზახეთი	1:1
შოტლანდია-ფარერები	4:0

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

შვედეთი-ესტონეთი	1:0
შვეიცარია-ფინეთი	3:2

ᲔᲕᲠᲝᲠᲣᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ (21)

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

დანია-რუსეთი	3:0
ისლანდია-საფრანგეთი	0:2
ხორვატია-ინგლისი	1:2
შვეიცარია-პორტუგალია	0:3

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ალბასეტე-კასტელონი	0:1
საბადელი-ხირონა	2:2

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული, მრავალმხრივი ცოდნის მქონე ადამიანი; 3. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 5. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 11. ეგრისის სამთავროს ნაწილი შავი ზღვის სანაპიროზე; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე, სხვა პირისათვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ქირურგიული დანა; 17. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. მაღალხარისხოვანი მინა; 22. ყვავილის ცენტრალური ნაწილი.

თარაზულად: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 8. ბეჭედში, ბროშში ჩასმული ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია ორნამენტი ან წარწერა; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. მონღოლთა მომთაბარე ლაშქარი; 21. ფრანგული პური; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. პატარა კაფე გერმანიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. იკეა; 2. ემი; 3. კორონაცია; 4. ლორია; 5. თაღლითი; 8. დალი; 9. ბარნელა; 10. კაბინეტი; 12. სხალთა; 13. ტვიში; 15. ცეისი.

თარაზულად: 1. ისაკაძე; 6. მოთხრობა; 7. ენდრო; 10. კლოდი; 11. პლაზა; 13. ტუნგი; 14. მოცვი; 16. ლაპი; 17. არაბიკა; 18. პოლისი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჩხვიმიანი; 2. ჭინჭილა; 3. კენედი; 4. არათი; 5. ივერია; 11. ბიბლია; 12. შატილი; 14. კილი; 16. სორენტო; 17. ბრიდემო; 19. მორავია; 21. ბადრო; 22. იტამი.

თარაზულად: 6. ახალციხე; 7. შარტავა; 8. თეთრა; 9. ემბაზი; 10. დერბი; 13. შნეკი; 15. ესკალატორი; 18. ხაშლამა; 20. რალი; 21. ბორნეო; 23. ნოქალაქევი; 24. მიზერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4464

ევრო — 4.0426

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7467

100 რუსული რუბლი — 4.5632

ამინდის პროგნოზი 2 აპრილისათვის

აზარი ლივერპულთან არ ითამაშებს

მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი დიდი ალბათობით ლივერპულის წინააღმდეგ არ ითამაშებს, რადგან მან ტრავმა ჯერჯერობით ვერ მოიშუშა. რეალში გადასვლის შემდეგ აზარს ტრავმები მუდმივად აწუხებს და მან თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ მოახერხა.

აზარი ბარსელონასთან მატჩისაც გამოტოვებს, რომელიც 10 აპრილს გაიმართება.

კეინი, შესაძლოა, მანჩესტერ სიტიში გადავიდეს

ტოტენჰემის ლიდერი და მთავარი ბომბარდირი ჰარი კეინი, შესაძლოა, გუნდიდან წავიდეს და მანჩესტერ სიტის შეუერთდეს. ამის შესახებ აქტიურად იწერება ინგლისურ პრესაში, თვითონ კეინი კი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, რაც იმის ნიშანია, რომ ის ამ ფაქტს არ უარყოფს.

სიტის სეზონის ბოლოს სერხიო აგუერო დატოვებს და ქალაქელები მის შემცვლელს აქტიურად ეძებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ძებნაში მყოფ მაფიოზს კულინარიული რეცეპტებით მიაგნეს

იტალიელ მაფიოზს მარკ ფერენ კლოდ ბიარას, რომელიც შვიდი წელი მიმალვაში იმყოფებოდა, იუთუბიში კულინარიული ბლოგის წყალობით მიაგნეს.

2014 წელს იტალიის ხელისუფლებამ ბიარას დასაკავებლად ორდერი გასცა კოკაინით უკანონოდ ვაჭრობისთვის, რომელსაც ის სამხრეთ იტალიაში კალაბრიული მაფიოზური დაჯგუფება „ნდრანგეტას“ ორგანიზებით ახორციელებდა. ის ქვეყნიდან გაიქცა და პოლიციას ემალებოდა.

53 წლის დამნაშავე უხმაუროდ ცხოვრობდა დომინიკის რესპუბლიკის საკურორტო ქალაქ ბოკა-ჩიკაში, სადაც ის კოსტა-რიკიდან გადავიდა. ის ცდილობდა ყურადღება არ მიექცია, თუმცა მეუღლესთან ერთად მიჰყავდა სპეციალური არხი იუთუბზე, რომელზეც იტალიური სამზარეულოს კერძების რეცეპტებს აზიარებდა. ვიდეოზე ძებნილს სახე დაფარული ჰქონდა, მაგრამ ის სხეულზე მისმა სვირინგებმა გასცა.

გასულ კვირას დომინიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ბიარა იტალიის პოლიციას გადასცა. დამნაშავის დაკავება ინტერპოლის და იტალიის საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლობის წყალობით მოხერხდა. 29 მარტს ძებნილი მაფიოზი თვითმფრინავით იტალიის ქალაქ მილანში ჩაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ, როგორ მიდის ცხოვრება?

– ახლა მარხვაა და გინება არ შეიძლება...

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, ძმა რატომ არ მყავს?

– იძინებ, რო...

●●●

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, იცი რატომ არ აცვიათ საცვალი ჯადოქარ ქალებს?

– არა და რატომ?

– ცოცხზე თავი რომ უკეთ შეიმაგრონ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, რა გჭირს?

– თავს დამესხნენ, ხელფასი წამართვეს, სიფათში მთხლიშეს!..

– მათ ცნობას შეძლებ?

– რა ცნობა უნდა... ცოლს და სიდედრს...

●●●

მეცნიერებმა კორონავირუსის ახალი შტამი აღმოაჩინეს.

ის სახიფათოა ოპოზიციის მიტინგების დროს და სრულიად უსაფრთხო სახელისუფლებო ღონისძიებების დროს. ხოლო ელიტის ქორწილების, დაბადების დღეების აღნიშვნის და უბრალოდ, ქეიფების დროს, სასარგებლოც კია.

●●●

ჩინეთში ჩასული ქართველი ექსკურსიამძღოლს ეკითხება:

– რამდენია თქვენი მოსახლეობა?

– ორი მილიარდი.

– და კიდევ რისი კეთებით ხართ დაკავებული?

●●●

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, დარწმუნებული ხართ, რომ ვაქცინაციის დროს ლიფის მოხსნა აუცილებელია?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკოლოზ რაჭველი: „სტუმართმოყვარეობის და მასპინძლობის ადათი საქართველოში არასდროს ვრცელდებოდა დამპყრობლებსა და მტრებზე!“

დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველს პოზნერის საქართველოში ვიზიტმა ბაშმეტის თბილისური კონცერტი გაახსენა:

– მახსოვს, წლების წინ, საკმაოდ დიდი ხნის უკან, მართლაც რომ უდიდესი მუსიკოსის და მსოფლიო მოქალაქის იური ბაშმეტის კონცერტის დროს, რომელიც თბილისის კონსერვატორიაში მიმდინარეობდა, გარეთ საპროტესტო განწყობით მოსულმა მოქალაქეებმა დიდი ხმაური გამოიწვიეს. ხმა დარბაზშიც შედიოდა, რამაც ხელი შეუშალა გია ყანჩელის ჩუმი და გარინდებებით სავსე ნაწარმოების შესრულებას.

მაშინ ორაზროვანი განცდა მქონდა, ერთი მხრივ, მინდოდა კონცერტს და ნაწარმოების პრემიერას მაღალ დონეზე ჩაევლო და მეორე მხრივ, ბოლომდე ვუთანაგრძნობდი პროტესტის შინაარსს, რომელიც გამოწვეული იყო მანამდე ბაშმეტის მიერ აფხაზეთში საგასტროლო მოგზაურობისა და სოხუმში ფესტივალის დაარსების ამბების გახმაურებით, რამაც ჩვენამდეც მოაღწია და ძალიან დაგვწყვიტა გული. ერთია, როცა ამბობ, რომ გიყვარს საქართველო, არც ბაშმეტის და არც პოზნერის გულწრფელობაში ეჭვი არ შემაქვს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მოაზროვნე ბაჩანა შენგელია 12.800 ლარს განათლების განვითარების ფონდში ჩარიცხავს

ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ მონაწილე ბაჩანა შენგელიას ზიანის სახით 12 800 ლარი გადაეცემა. ეს თანხა სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს დააკისრა.

ბაჩანა შენგელია ამ თანხას დედამისის – ია კერზაიას სახელობის განათლების განვითარების ფონდში ჩარიცხავს და იმ სკოლის მოსწავლეების განათლებას მოხმარდება, რომლის დირექტორიც დედამისი იყო.

– მიმაჩნია, რომ საქმიანობის შეჩერება იყო იმ დევნის კამპანიის გაგრძელება, რაც ჩემი ოჯახის მიმართ ხორციელდება და რასაც დედაჩემის სიცოცხლე შეეწირა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, – განაცხადა ბაჩანა შენგელიამ.

დემნა გვასალია ნატურალურ ბეწვსა და ტყავზე უარს ამბობს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია უარს ამბობს თავის კოლექციებში ნატურალური ბეწვი და ტყავი გამოიყენოს.

ინფორმაცია ცხოველების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქერინგმა უკვე დაადასტურეს. მათი განმარტებით, ბალენსიაგას კოლექციები 100%-ით არის თავისუფალი ნატურალური ბეწვისა და ტყავისგან.

ივლისში ბალენსიაგა დემნა გვასალიას პირველი დიდი განსხვავებული შოუსთვის ემზადება. დემნას პირველი კოლექცია იქნება განაცხადი მსოფლიო მოდის სამყაროში, რომ მაქსიმალურად ბევრმა თქვას უარი ცხოველის ბუნებრივი ბეწვის გამოყენებაზე.

შორენა ბეგაშვილის გადაცემა დაიხურა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა „პროფილის“ და „არ გაჩერდეს“ შემდეგ შორენა ბეგაშვილის გადაცემა „შორენას ეფექტიც“ დახურა.

ინფორმაცია გადაცემის წამყვანმა თავად გაავრცელა:

– გემშვიდობებით. ყველაზე კეთილი გადაცემა იყო... „შორენას ეფექტი“.

მაყვალა გონაშვილის ლექსები სერბიულად ითარგმნა

ქართველი პოეტის მაყვალა გონაშვილის ლექსები სერბიულ ენაზე ითარგმნა. პოეტმა ბელგრადიდან ნათარგმნი ლექსების კრებული უკვე მიიღო.

წიგნი ევროპული ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიით გამოიცა. გამოცემის წინასიტყვაობა ეკუთვნის საგამომცემლო საქმიანობის მინისტრს ალექს კაკულევიჩს. წიგნის რედაქტორია ცნობილი სერბი მწერალი და გამომცემლობა „ალმას“ დირექტორი მილუტინ ჟურიჩკოვიჩი, თარგმანები კი დაიანა ლაზარევიჩისაა. როგორც წიგნის წინასიტყვაობაში წერია, მაყვალა გონაშვილის რჩეული ლირიკა სერბიული ლიტერატურისათვის ბრწყინვალე შენაძენია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 აპრილისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოს ქსელი; 3. საგნის ზუსტი განსაზღვრა, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 4. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 8. საქართველოში გავრცელებული ფრანგული ვაზის ჯიში; 9. მცირეოდენი განსხვავება რამეში; 10. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 13. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 15. სამრეწველო ცენტრის, დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი სქელი შავი ნისლი.

თარაზულად: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 6. სულიერი დაძაბულობით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 7. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 11. ჩინური ფინიკი; 13. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური; 16. მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. ერთი ან რამდენიმე ბგერის მოკვეცა სიტყვის ბოლოში; 18. ძვლების ანთება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა